# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 იანვარი. 2021 წ. №18 (9137) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ქვეყნის მოღალატეების რეიტინგი 5 პროცენტამდე დაცურდა, ვარდნა გრძელდება!





ხელისუფლებისთვის გაგიჟებულ მუქთახორა პოლიტიკოსებს ბუნება უწინარესად გონებას ართმევს, რადგან ისინი უსინდისო ადამიანებად არიან დაბადებული, და რაც არა აქვთ, იმას ვერც წაართმევ... უგონოდ დარჩენილები კი ათას სისულელეს ლაპარაკობენ და ათი ათას ბოროტებას სჩადიან.

ნათელაშვილმა, შალიკომ, კარგა ხანია, რაც თავი გაიტაკიმასხარავა. აკი ხალხმა ამიტომაც პოლიტიკურ ტაკიმასხარად მონათლა. ჰოდა, ამ ერთპროცენტიანმა პოლიტიკურმა ტაკიმასხარამ გაუტია, მაგრამ რა გაუტია! ხელისუფლება ახალ საპარლამენტო არჩევნებზე თუ არ წავიდა „რევოლუცია ანუ ხელისუფლების შეცვლა არასაარჩევნო გზით გარდაუვალიაო“. და ტრაბახობს, მაგრამ რას ტრაბახობს! ოცი წელია, უმანდატოდ კისერს ვუგრეხ ყველა ჯურის ხელისუფლებას და „ოცნება“ მესამე იქნება, რომელსაც უმანდატოდ გავისტუმრებ უმანდატო ქვეყანაშიო!

## ეშმაკები ტიკს კი ალბობენ, მაგრამ....

შალიკოს ამ სისულელეებში „ოსტატურად“ ერითმება ნიკაი, გვარამიას ბიჭი, რომელმაც თავი მოუყარა თავის სტუდიაში ოპოზიციის „ნაღებს“ და დატუქსა, მაგრამ რა დატუქსა, გაიძრეთ ეგ თეთრი ხელთათმანებიო, შეიარაღდითო, ივანიშვილი ერთ ყბაში თუ გაგარტყამთ, ეგრევე ორივე ყბაში გაარტყით,ააყბავეთო. და მავანი გავლენიანი მეგობარი მოიშველია, იცით, რა მითხრაო? ბიძინას პირდაპირ მახვილი უნდა შეურჭო და დაატრიალოო... მართალიაო, დეკანოიძის ქალმა; დროა, დროაო, კვერი დაუკრა ხაზარაძის თანამოლაშქრე ლელოელმა ჯაფარიძემ, ბადრიამ; გუგავა მოვა კი არა, მოსულია, და სასწრაფოდ ითხოვს სახალხო აჯანყების გზით ქვეყნის გადარჩენას; თაკომ, ჯანსუღის ასულმა, ვინმე ფანგანისგან ვინმე ჩავლეიშვილისთვის ნაგვის დაყრა რა მოსატანია, როცა „ოცნება“ და, კერძოდ, ივანიშვილი მთელი რვა წელიწადი გვაყრის ნაგავსო; ხოლო ერთპროცენტმიუღებელმა ნინომ, „რკინის ლედმა“ თავი გაიგიჟა, რაც შეიძლება მეტი და მეტი ხალხი უნდა გამოვიყვანოთო, ბობოხიძის ბიჭმა კი, კაკომ, ეჭვი გამოთქვა, ჯერ კრიტიკული მასა არა ჩანსო.





გენერალური შტაბისგან დავალება მიღებულია — ჯერჯერობით ნაოცნებარი რევოლუცია ხვალ ნამდვილ რევოლუციად უნდა გადაიქცეს, და ბოლო მოეღოს ქვეყნის დამღუპველ „ოცნებას“ თავის ბიძინიანად.

ერთი სიტყვით, მახვილის შერჭობისა და დატრიალების ჟამი გვარამიას „მთავარიდან“ რაც შეიძლება მალე ქუჩებში უნდა გადავიდეს! ასეთია „რევოლუციის ტრესტის“ შორიდან მოწვდილი მოწოდება, რომლის სასწრაფოდ შესრულება ევალება ნაციონალთა ახალ თავმჯდომარეს მელიას (პოლიტიკურ კუდაგრძელიას) თავის პოლიტიკურად მშიერ მელა-ტურებთან ერთად.

მოკლედ, ეშმაკები რომ ტიკს ალბობდნენ და ღვინო არსად იყო, სწორედ ისეა ნაციონალთა საქმე. ხალხი უკვე მიუხვდა ამ პოლიტიკურ ვირეშმაკობას და რეიტინგიც აკი 5 პროცენტამდე დაუცურდათ. როგორც ჩანს, ვარდნა გრძელდება.

# მეგაპროექტი, რომელიც უამრავ სიცოცხლეს გადაარჩენს!!!



## ალექსანდრე თევზაძე: ადრონული თერაპიის ცენტრი არის უნიკალური პროექტი, რომელიც კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის საშუალებას მოგვცემს...



**ადრონული თერაპიის ცენტრი არის უნიკალური პროექტი, რომელიც კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის საშუალებას მოგვცემს და გადაარჩენს ბევრ სიცოცხლეს,** — განაცხადა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) რექტორმა ალექსანდრე თევზაძემ.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ადრონული თერაპიის ცენტრის საპროექტო სამუშაოები უკვე დაიწყო. გუშინ უნივერსიტეტში სამუშაო შეხვედრა შედგა, რომელსაც მხარეების წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ ის ტერიტორია დაათვალიერეს, რომელზეც ადრონული თერაპიის ცენტრი აშენდება.

**„დღეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუმრად არიან IDOM-ისა და IBA-ს წარმომადგენლები, ეს არის ჩვენი მეგაპროექტი, ადრონული თერაპიის ცენტრი, რომლის ფარგლებში ხდება ორი ციკლოტრონის ტიპის ამაჩქარებლის დადგმა, პროტონული თერაპიის კლინიკისათვის და სამეცნიერო კვლევების მიზნებისათვის.**

**დამპროექტებელი კომპანია IDOM-ი ჩვენ მიზნობრივად შევარჩიეთ. ეს არის კომპანია, რომელმაც დააპროექტა ესპანეთში პროტონული თერაპიის ცენტრი მადრიდის საუნივერსიტეტო კლინიკასთან, მათ აქვთ გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება, სამეცნიერო კვლევითმა და კლინიკურმა ცენტრმა იმუშაოს უნივერსიტეტთან ერთად. სწორედ ამ გამოცდილების გაზიარება გვაინტერესებს,** — განაცხადა ალექსანდრე თევზაძემ.

აღნიშნულ კვლევით ცენტრში შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების განხორციელება ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, რადიაციულ ფიზიკაში და ბიოფიზიკაში. კვლევითი ცენტრი ასევე ხელს შეუწყობს პროტონული თერაპიის ცენტრის ჩამოყალიბებას KIU-ს მედიცინის ფაკულტეტთან ერთად.

**ადრონული თერაპიის ცენტრის გახსნა უნივერსიტეტში 2024 წლისთვის არის დაგეგმილი. პროექტს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებს და ახორციელებს.**

## გიორგი გახარია: თუ თბილისში დადებითობის მაჩვენებელი ჩამოსცდება 4 პროცენტს, მუნიციპალური ტრანსპორტის გახსნაზეც უნდა ვიფიქროთ!

**თუ თბილისში დადებითობის მაჩვენებელი ჩამოსცდება 4%-ს უახლოეს ერთ კვირაში, რა თქმა უნდა, მუნიციპალური ტრანსპორტის გახსნაზეც უნდა ვისაუბროთ უფრო სწრაფად და ეკონომიკის იმ დარგების გახსნაზეც, რომლის შესაძლებლობასაც ეპიდმდგომარეობა გვაძლევს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. ასე რომ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არის უკიდურესად მნიშვნელოვანი და ეს ყველაფერი უნდა იყოს თანმიმდევრული, ბალანსის დაცვით და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ რა თქმა უნდა საბოლოო მიზანი არის ბალანსის საშუალებით ეკონომიკის სწრაფი აღდგენა...



**...„კარგი შედეგები გვაქვს აჭარაში და რამდენიმე მსხვილი ქალაქის გარდა, სადაც დადებითობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია, დანარჩენ ქალაქებში ყველაფერი გავხსენით. ვაჭრობა მათ შორის, განათლება მათ შორის და გავხსენით მუნიციპალური ტრანსპორტიც. თუ არ ვიქნებით მსგავსად თანმიმდევრულები და ვისაუბრებთ მხოლოდ და მხოლოდ სურვილებზე, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დავაზიანებთ ეკონომიკას და სხვა შედეგს ვერ მივიღებთ, ეს უნდა გვესმოდეს ყველას, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებასაც ვიღებთ. რა არის ჩვენთვის დადებითობის მაჩვენებელი — როგორც კი დადებითობის მაჩვენებელი ქვეყანაში, ქალაქში, ცალკეულ რეგიონში ჩამოსცდება 4%-ს, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვეძლება გახსნის ის გეგმა, რომელიც უკვე წარმოდგენილი გვაქვს დავაჩქაროთ. მაგალითად, თუ თბილისში დადებითობის მაჩვენებელი ჩამოსცდება 4%-ს უახლოეს ერთ კვირაში, რა თქმა უნდა, მუნიციპალური ტრანსპორტის გახსნაზეც უნდა ვისაუბროთ უფრო სწრაფად და ეკონომიკის იმ დარგების გახსნაზეც, რომლის შესაძლებლობასაც ეპიდმდგომარეობა გვაძლევს. ასე რომ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არის უკიდურესად მნიშვნელოვანი და ეს ყველაფერი უნდა იყოს თანმიმდევრული, ბალანსის დაცვით და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანი არის ბალანსის საშუალებით ეკონომიკის სწრაფი აღდგენა,“** — განაცხადა გიორგი გახარიამ.



## TIMES: „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ინდივიდუალისტი პოლიტიკოსის სააკაშვილის მმართველობას!

**2012 წლის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი ახალშექმნილი პარტიის, „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში. მისმა გამარჯვებამ წერტილი დაუსვა მიხეილ სააკაშვილის 10-წლიან მმართველობას,** — ამის შესახებ გამოცემა Times-ი წერს.

ავტორი მიხეილ სააკაშვილს ინდივიდუალისტ პოლიტიკოსად მოიხსენიებს და აცხადებს, რომ მის პირობებში საქართველომ 2008 წელს რუსეთთან გამანადგურებელი ომის შედეგად დაკარგა თავისი ტერიტორიის 20%.

სტატიაში ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ემთხვევა საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მომენტს.

**„აშშ-ის ახალმა სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს საქართველოს მიწვევას ნატოში გასაწევრებლად, თუკი ქვეყანა შეასრულებს შესაბამის მოთხოვნებს. ეს კი კიდევ უფრო გაამწვავებს დაძაბულობას რუსეთთან, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ყოფილი საბჭოთა ქვეყნების შესვლას დასავლურ სამხედრო ალიანსში. საქართველო ასევე ეცდება ევროკავშირში შესვლას 2024 წელს“,** — წერს გამოცემა.

სტატიის ავტორის თქმით, ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა საკმარისად მტკიცეა იმისათვის, რომ გაუძლოს კრემლიდან მომავალ ზეწოლას — **„ჩვენ გამოვეყავით რუსეთს და გავხდებით ყველაზე პოპულარული ოჯახის — ევროკავშირის წევრი“,** — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

## BRUSSELSMORNING: საქართველო ნატოში გაწევრებისთვის მზადაა

ამ სათაურით სტატიას Brusselsmorning აქვეყნებს და ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს მიმოიხილავს.

**„შეხვედრის შემდეგ, სტოლტენბერგმა დაადასტურა, რომ საქართველოს თავდაცვის სფეროს რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს და საქართველო უფრო უახლოვდება ნატოს წევრობას“,** — წერს გამოცემა. გამოცემასთან საუბარში ნატოში საქართველოს ელჩი ვიქტორ დოლიძე აცხადებს, რომ საქართველო წლების განმავლობაში იყო ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ნატოს ISA-ის ოპერაციასა და ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიაში.

ვიქტორ დოლიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნატოსთან საქართველოს ინსტიტუციური ურთიერთობა ტაქტიკურ დონეზე კიდევ უფრო ღრმავდება, ვინაიდან ქვეყანა ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში. ასევე, ნატო მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობებში ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის საშუალებით, რომელიც 2020 წლის დეკემბერში განახლდა.

**„თბილისსა და ბრიუსელს საერთო ხედვა აქვთ. ნატო და ევროკავშირი საქართველოს, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ხიდს განიხილავენ, როგორც სატრანსპორტო კავშირის, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით“,** — წერს გამოცემა.



## რა შესაძლებლობებით აღიჭურვება ქართული წარმოების სამხედრო დანიშნულების დრონი?!

**პროექტირების ფაზაში მყოფი სამხედრო დანიშნულების დრონის შესახებ Tam Management-ის დირექტორის მოადგილე მიხეილ როგავამ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განმარტა:**

ქართული წარმოების დრონს შეეძლება:

- **სადაზვერვო კონფიგურაციით 72 საათის განმავლობაში უწყვეტად ფრენა;**
- **350 კილოგრამის შეიარაღების ტარება;**
- **ჯავშანტექნიკისა და შენობა-ნაგებობების განადგურება.**

**Tam Management**-ის საავიაციო საწარმო სამხედრო და სადაზვერვო დანიშნულების უპილოტო ხომალდის შექმნაზე გასული ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. კომპანიაში ფიქრობენ, რომ ახალ დრონს კომერციალიზაციის კარგი შესაძლებლობები ექნება და მისი მახასიათებლებით უცხოელი მყიდველებიც უნდა დაინტერესდნენ.

**„ჩვენი დრონი უპირველესად, სამხედრო დანიშნულებისაა: მას შეეძლება, სადაზვერვო მისიები შეასრულოს, აგრეთვე განახორციელოს საზღვრების კონტროლი და გაუწიოს დახმარება საარტილერიო ქვედანაყოფებს საბრძოლო ველზე, რათა მიზნის კორექტირება მოახდინოს. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენ დრონს შეეძლება სადაზვერვო კონფიგურაციით 72 საათი იფრინოს დამატებითი საწვავის ავზებით. აგრეთვე, მას შეუძლია 350 კილოგრამი შეიარაღების ტარება, რომელიც არის მართვადი და არამართვადი; შეუძლია გაანადგუროს მეტოქის, როგორც ცოცხალი ძალა, აგრეთვე ჯავშანტექნიკა და შენობა-ნაგებობებიც. გათვალისწინებულია, რომ მას ექნება თანამედროვე სანავიგაციო მოწყობილობები, აგრეთვე სამიზნე ოპტიკური სისტემა და შეუძლია იყოს ერთ-ერთი დომინანტი საბრძოლო ველზე. ჩვენი პრიორიტეტი იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის შეგვექმნა ეს პროექტი“,** — აცხადებს მიხეილ როგავა.



## სერგეი ლავროვის მორიგი პროვოკაციული ნაბიჯი

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, შეხვედრა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან არის რუსეთის მხრიდან მორიგი პროვოკაციული ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაგრძელებას,** — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან სერგეი ლავროვის შეხვედრას გამოეხმაურა.

**„მსგავსი ქმედებებით რუსეთი ამაოდ ცდილობს, მოახდინოს საოკუპაციო რეჟიმების ლეგიტიმაცია იმ ფონზე, როდესაც 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების უხეში დარღვევით რუსეთი აგრძელებს საქართველოს განუყოფელი რეგიონების ოკუპაციას და მათი ფაქტობრივი ანექსიისკენ ნაბიჯების გადადგმას. საერთაშორისო საზოგადოება ურყევად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას.**

**საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაცია ახორციელებს საქართველოს განუყოფელი რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციასა და ეფექტურ კონტროლს და არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. სტრასბურგის სასამართლომ სწორედ რუსეთის ფედერაციას დააკისრა პასუხისმგებლობა 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობისას ისევე, როგორც ომის შემდგომ, ოკუპაციის პერიოდში საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებისთვის, მათ შორის ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილისთვის საკუთარ სახლში დაბრუნების უფლების ხელყოფისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს სამართლიანი და მშვიდობიანი ბრძოლის მნიშვნელობას ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების მიმართულებით“,** — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში.

## ნაცო ოპოზიციონერებო!

რომორ ატარებთ ამდენ ბოლმას, ღვარძლს, უზნეობას, სიბრიყვეს, რატომ აზეიმებთ დიდ ტყუილს — არჩევნები გაყალბდაო. ძალაუფლებადაკარგულებს ისღა დაგრჩენიათ, არიოთ ქვეყანა, მოაწყოთ დესტაბილიზაცია, რაც ხელს აძლევს პუტინსა და თქვენს მარჩენალს — მშიშარა, ჰალსტუხისმღეჭავ, ყლინჯიღეჭია, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე მხოხავ პრეზიდენტს. იყვირეთ რაც შეიძლება ხმამაღლა — „მიშა მაგარია!“ ასე როგორ შეშინდით, შეიშალეთ სკამის დაკარგვით. თქვენმა საქციელმა **ნიცშეს** სიტყვები გამახსენა: **„ისინი ტახტისკენ ისწრაფვიან, ესაა მათი შეშლილობა; მცოცავი მაიმუნები, დასიცხულნი, სიმყრალით სავსეა მათი კრებული“**. დამანგრეველნო ქვეყნისა, ქვეყნის შემარცხვენელნო!

**ლონდა მდივანი**

# თქვენს წინ სახელმწიფოა, ხულიგნებო!

## ნაგვის ურნების ტერორი



**ᲐᲦᲐᲠ მოვყვები იმ ამბავს, რაც ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმში მოხდა. უბრალოდ ვიტყვი, რომ ერთმა ნაცმა, ვინმე ირაკლი ფანგანმა, ნაცების სიით აჭარის უმაღლეს საბჭოში შესულ ვინმე ირაკლი ჩავლეიშვილს თავზე ნაგვის ურნა ჩამოამხო.**

**ცხადია, ამ ამბავს საზოგადოების მხრიდან ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. იყო მოკრძალებული განცხადებები, რომ მსგავსი ქმედება მიუღებელია, მაგრამ... (რაც არსებითად ამ სადამსჯელო ღონისძიებას „ლაითად აპრავებდა“).**

**იყო მსჯელობა იმის შესახებ, ჯდება თუ არა ნაგვის ურნის თავზე დამხობა „გამოხატვის თავისუფლების ფორმატში“.**

სალომე სამადაშვილისა და რომან გოცირიძის მხრიდან იყო მკვეთრად უარყოფითი შეფასებებიც, რასაც სალომეს მისამართით მუქარა მოჰყვა.

და რაც მთავარია, საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან იყო აღფრთოვანებული ირონიით და დაცინვით სავსე შეფასებები, რამაც ყოველგვარი კვლევების მოუშველიებლად ნაცების მიმართ ხალხის რეალური დამოკიდებულება აჩვენა.

არ დაგიმალავთ და ბუნებით ძალიან დემოკრატი ვარ. ვაღიარებ ვაჟა-ფშაველას ლიბერალიზმს და ყოველგვარ ძალადობას სასტიკად ვეწინააღმდეგები, მაგრამ, სულო ცოდვილო, და არც ისე მორცხვად უნდა ვთქვა, რომ იმ „ნაგვის ურნის შემთხვევამ“ მაინცდამაინც არ შემძრა.

ჰოი, საოცრებავ, მე თვითონ გამიკვირდა, მაგრამ ამ ქმედებამ ჩემში არამც თუ რაიმე მგმობელი გრძნობა აღძრა, არამედ, პირიქით, რაღაცნაირი შინაგანი კმაყოფილება გამოიწვია.

**1. ვერანაირად ვერ ვიტან მოღალატეებს. განსაკუთრებით მათ, რომლებიც ყოვლად მდარე მერკანტილიზმის გამო ღალატობენ თავიანთ გუნდს (ახლა არ მითხრათ, რომ ის ჩავლეიშვილი დიადი მიზნების განხორციელების გამო შევიდა აჭარის უმაღლეს საბჭოში და თავისი „დედა პარტია“ ამიტომ უარყოო).**

**2. უცებ წარმოვიდგინე, ეს „პრაქტიკა“ ამ რამდენიმე წლის წინ „ოცნების“ მომხრეებს რომ გაეზიარებინათ.**

**წარმოვიდგინე და შემეშინდა – მაშინ საქართველოს პარლამენტთან ერთი თავისუფალი ნაგვის ურნაც არ იქნებოდა, გამვლელს ნაყინის ქაღალდი, ან სიგარეტის ნამწვი რომ ჩაეგდო, რადგანაც ყველა ურნა ოცნებიდან გაოპოზიციონერებული დეპუტატებით იქნებოდა სავსე.**

**3. სრულიად ვეთანხმები ჩინგიზ ხანს, როცა ის მის მხარეს გადაბარგებულებს სჯიდა, რადგანაც თვლიდა, რომ ის, ვინც ერთხელ უღალატა, მეორედაც უღალატებს.**

**და, ბოლოს – ამ ნაცებს (ყოფილი ნაცი არ არსებობს!!!), ასემც უქნიათ, საჯაროდ დაუშმუთიათ ერთმანეთი**

ასე რომ, ნაცები ერთმანეთს დაამხობენ თავზე ნაგვის ურნებს, თუ „რაფაელოს“ მიუძღვნიან „არაფრის მთქმელი სიტყვების ნაცვლად“, სულ ცალ ფეხზე მკიდია.

უბრალოდ, ვითარება ძალიან სასაცილოდ და ლოგიკურად ვითარდება:

**ნაცებში არსებითად შიდა კლასობრივი ბრძოლა დაიწყო.**

**სამადაშვილი და მიშასთან დაახლოებული სხვა ტიპები, ნაცების ფინ-ფანფო „არისტოკრატიად“ ითვლებოდნენ. მელიას „სასტავი“ კი ლუმპენ-პროლეტარებად.**

ეს ორი ჯგუფი გენეტიკურად ვერ იტანს ერთმანეთს.

ცხადია, მელიას მაგის უნარები არა აქვს, ვითარება რომ აკონტროლოს. ახლა იქ გამარჯვებული პროლეტარიატის ვნებები ჩქეფს და ეგ გააკეთებს გასაკეთებელს.



მათ არასდროს სერიოზულ ფიგურებად არ აღიქვამდნენ (საზღვარგარეთ წასვლა, შეხვედრები, ტელევიზორში გამოჩენა და სხვადასხვა სიკეთე). ყოველთვის ზონდერის სახელი ჰქონდათ და ეს, ბუნებრივია, გულში აქვთ ჩარჩენილი.

დეკანოიძე ყველაზე ჭკვიანია მანდ. „მენტური“ ილეთებიც იცის და არისტოკრატიაშიცაა. პიარის „პონტშიც“ მომგებიანია. ყველა პოლიტიკურ შოუში დადის. მელიას მისი საპირწონე არ ჰყავს, თორემ აქამდე ჩაანაცვლებდა.

**ᲐᲘ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔ ᲓᲒᲐᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ. ᲔᲗᲔᲠᲔᲑᲨᲘᲪ ᲔᲒ ᲓᲐᲓᲘᲡ.**

**ᲛᲐᲒᲐᲠᲘ „ᲡᲐᲞᲝᲞᲙᲝᲠᲜᲔ“ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ.**

**ᲝᲞᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲒᲠᲐᲓᲐᲪᲘᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲡ „ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ“ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲢᲣᲥᲡᲕᲐᲛᲐᲪ ᲒᲕᲐᲩᲕᲔᲜᲐ.**

**ᲝᲠᲯᲔᲠ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲘ „ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲚᲔᲓᲘ“ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲔᲡᲕᲐ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ.**

**ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐᲛ ᲓᲘᲐᲜᲐ ᲢᲠᲐᲞᲐᲘᲫᲔᲡ ᲨᲔᲡᲩᲘᲕᲚᲐ – ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐ, ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲛᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ, ᲨᲔᲛᲔᲨᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ, ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲗᲮᲝᲕᲝᲝ.**

**ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲐᲖᲠᲖᲔᲜᲘᲐ, ᲐᲠᲐ?**

**ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲒᲝ, ᲗᲐᲙᲝ, ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲣᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.**

მათ უნდა დაწერონ კანონები, რის მიხედვითაც ჩვენ – თქვენ, მე, ჩვენმა ახლობლებმა, შვილებმა და საერთოდ ყველამ უნდა ვიცხოვროთ.

ისინი ამას არ აკეთებენ და რაც არ უნდა ცუდად ისმოდეს, არსებითად ვეხვეწებით, რომ პარლამენტში შევიდნენ.

მაპატიეთ, მაგრამ ეს ვითარება საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფაა!

ვის რაში სჭირდება ეს სიყალბე?

ე.ი. მთავარია დემოკრატიის რაღაც ყოვლად უაზრო და ამაზრზენი გამოხატულება და არა ქვეყნის მიზნები?

არის ბრწყინვალე ფილმი „ტკბილი ნოემბერი“ და იქ კიანუ რივზის გმირი შარლიზ ტერონის გმირს დაბადების დღეზე ქაღალდებისგან გამოჭრილ რალაცეებს უძღვნის. უაზრო, გამოუსადეგარ რამერუმეებს.

ზუსტად ეგრე ვართ, მაგრამ ფილმში მამაკაცი ქალს ახარებს და, ჩემი აზრით, ის ქაღალდის და პლასტმასის ნივთები 20-კარატიან ბრილიანტზე ძვირფასია. აქ კი სახელმწიფოა!!! სახელმწიფო, რომელიც დიდი პრობლემების წინაშე დგას.

**არა რა, რაღაც „სტიკერების“ ქვეყანა ვართ და არა ნორმალური სახელმწიფო.**

**როგორ შეიძლება იაგოს ან ამ ე.წ. ოპოზიციონერებს ეხვეწო პარლამენტში შემოდითო იმის გამო, რომ ვიღაც სირმა კუბილიუსმა გაიღიმოს და თქვას დემოკრატიააო?**

**ძალიან შეურაცხმყოფელია ეს ყველაფერი.**



**შეურაცხმყოფელი ამ არასამთავრობოულად მარაზმატული ცხოვრების წესის გამო!!!**

**მოკლედ რომ ვთქვა „ნაგვის ურნების“ ტერორი დაიწყო.**

**ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ**

## ირაკლი ფანგანს 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა და ირაკლი ჩავლეიშვილთან მიახლოება აეკრძალა

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ საქალაქო სასამართლომ მოძრაობა „ალტერნატივას“ აქტივისტს, ირაკლი ფანგანს აღკვეთის ღონისძიების სახით 2000-ლარიანი გირაო შეუფარდა. როგორც მედიასთან ბრალდების მხარე ამბობს, ირაკლი ფანგანს დამატებითი ვალდებულებებიც დაეკისრა. მას ეკრძალება დეპუტატ ირაკლი ჩავლეიშვილთან მიახლოება და საქმის დასრულებამდე ეზღუდება საზღვრის კვეთის უფლება.**

გუშინ საქართველოს პროკურატურამ ბათუმში მომხდარი დევნის ფაქტზე ირაკლი ფანგანს ბრალდება პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით დევნის მუხლით წარუდგინა. ბრალდების წარდგენის შემდეგ ფანგანი გათავისუფლდა, ვინაიდან პროკურატურა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას მოითხოვდა.



## „ნაცმოძრობის შეხედულებებს რომ მხოლოდ 5 პროცენტი იზიარებს, ბევრ რამეზე მეტყველებს“



ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ახალი კვლევის შედეგებს სოციალურ ქსელში ეხმიანება:

**„რაც არ უნდა უცნაუროდ მოგვეჩვენოს, NDI-ის კვლევამ მართლაც ლახვარი ჩასცა ოპოზიციას და მათ ფლაგმანს „ნაციონალურ მოძრაობას“. საქმე იმაშია, რომ ნაცები, მათი მიმდევრები, თავიანთი პროპაგანდისტული მავნებლური ფეიკ ტელვიზიებით ყოველთვის ცდილობდნენ სხვადასხვა კვლევებით და რეიტინგებით მოსახლეობის დაშანტაჟებას, განსაკუთრებით უცხოელები და უცხოური ორგანიზაციები იყვნენ მათთვის ერთ-ერთი „მძლავრი ინსტრუმენტი“... მაგრამ NDI-ის გუშინ გამოქვეყნებულმა კვლევამ, ვაგლახ რომ მართლაც ცუდ ხასიათზე დააყენა ისინი, განსაკუთრებით კი, იმით, რომ NDI-ის კვლევის თანახმად...**

**გამოკითხულთა 76% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, პარლამენტის საქმიანობაში ყველა არჩეულმა პარტიამ მიიღოს მონაწილეობა;**

**მოსახლეობის 60% ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობა პანდემიასთან ბრძოლას გაუმკლავდა;**

**აი „ნაციონალური მოძრობის“ შეხედულებებს რომ მოსახლეობის მხოლოდ 5% იზიარებს, ნამდვილად ბევრ რამეზე მეტყველებს... ისე სიმბოლურიცაა 5%, ეს ციფრი უყვართ კიდეც ნაცებს, წლებია საარჩევნო ნომრადაც იყენებენ და ახლა 5% დაშვებაც სიმბოლურზე უფრო რეალურიცაა!“**

შეგახსენებთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საველე სამუშაოები გასული წლის 17-24 დეკემბრის პერიოდში ჩაატარა. კვლევის თანახმად, კითხვაზე – რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, გამოკითხულთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ (31%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (5%).

რაც შეეხება სხვა პარტიებს – „პატრიოტთა ალიანსი“; „სტრატეგია აღმაშენებელი“; „გირჩი“; „ევროპული საქართველო“; „ლელო“; „ლეიბორისტული პარტია“, ისინი ჯამურად გამოკითხულთა 9%-ის შეხედულებებთანაა ახლოს.

ამასთან, ამავე კითხვაზე გამოკითხულთა 24%-მა პასუხისგან თავი შეიკავა, 25%-მა კი არც ერთი პარტია არ დაასახელა.

# მეოთხე მუშკეტერი

**ეს ამბავი აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდიდან, 1970-იანი წლებიდან შემორჩა მეხსიერებას. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დიპლომში, ჩვეულებრივ, ორი სპეციალობა აღინიშნებოდა: აღმოსავლეთმცოდნე თურქოლოგი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. შესაბამისად, რომელიმე აღმოსავლურ ენასა და მასთან ასოცირებულ დისციპლინებთან ერთად, სტუდენტები, დამატებით, ყველა იმ საგანს გადიოდნენ, რომელიც ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისწავლებოდა. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები და, ზოგადად, სპეციალისტები კი, არცთუ იშვიათად, მოხსენებებს აკეთებდნენ ქართველოლოგიის საკითხებზე და აქტიურად იყვნენ ჩართული ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე გამართულ დისკუსიებში — როგორც მეცნიერთა თავყრილობებზე, ისე ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამ სფეროს კვლევა ძალზე მიმზიდველი, საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა სხვადასხვა აღმოსავლურ ენებთან და კულტურასთან, ისტორიასთან შედარებითი, გნებავთ ტიპოლოგიური ანალიზისთვის. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ხომ, უწინარესად, საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და კულტურის სიღრმისეული შესწავლის მიზნით შექმნეს ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პატრიარქებმა.**

# ბიჭმა გაამართლა



ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს, აკადემიურ წრეებში, პროფესიული გამოცდილების მქონე, პირუთვნელ შემფასებლებად იცნობდნენ და ხშირად იწვევდნენ მისაღებ გამოცდებზე როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიის წევრებად. სწორედ ამ ნიშნით აღმოჩნდა ჩემი კოლეგა, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომელი, კათედრის საერთო სიმპათია, თურქული ენის საუკეთესო სპეციალისტი და ქართული მწერლობის დიდი გულშემატკივარი **ედიშერ სარიშვილი** ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე შემფასებლის როლში.

მისაღები გამოცდები აგვისტოში ტარდებოდა და, ტრადიციულად, საზოგადოების განსაკუთრებულ ცნობისწადილს აღძრავდა. ჩვენი მოსახლეობის, გამორჩევით, ახალგაზრდების ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის მიმართ, გულგრილი არავინ რჩებოდა, რადგან იშვიათად შეხვდებოდით ოჯახს, ვინმე თავისიანი, ახლობელი, ნათესავი, ანდა მეზობელი მაინც არ ჰყოლოდა აბიტურიენტი. უმაღლესი განათლების დიპლომით დიდ ცხოვრებაში შესვლას ხომ, დიადი საბჭოეთის ყოველი მოქალაქისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თითოეულის ღრმა რწმენით, მხოლოდ თხელი მუყაოს ორ გვერდზე ბეჭდით დადასტურებული ხუთი წლის სტუდენტური სწავლა-განათლება წარმოადგენდა ნათელი მომავლის მყარ გარანტიას. გამოცდების პერიოდში გამომცდელების მიმართაც იზრდებოდა ყურადღება, რაც მისი დასრულების შემდეგაც გრძელდებოდა და ზოგჯერ კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. შემოდგომაზე, გამოცდებმოლეული და შვებულებიდან დაბრუნებული კოლეგები, თანამშრომლების გარემოცვაში ხვდებოდნენ და ათასგვარ შეკითხვებს ისმენდნენ. ყველას აინტერესებდა, პროცესი როგორ წარიმართა, ვინ თავი გამოიჩინა კარგი პასუხებით, ვინ თავი შეირცხვინა, საუკეთესო თემა თუ დაიწერა, რა კურიოზებს წააწყდნენ და ა.შ... საგამოცდო ამბები ყველას ერთობ ახალისებდა. ენაწყლიანი, ენაკვიმატი გამომცდელები ხომ, საგამოცდო პერიპეტიებს ისეთი აზარტითა და ისე ოსტატურად ხატავდნენ, თუ არ დაიზარებდით და ჩაიწერდით, ნოველების მშვენიერი კრებული გამოგივიდოდათ.

შვებულებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, რომ ინსტიტუტში ედიშერ სარიშვილმა შემოიარა. სალამ-ქალამისა და მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ, სიტყვა გამოცდებზე ჩამოვუგდე. მანაც არ დააყოვნა და ბევრი რამ საინტერესო გაიხსენა ზაფხულის ხვატში მიმდინარე საგამოცდო ციებ-ცხელებიდან. მერე აქცენტი ერთ შემთხვევაზე გააკეთა და გამოცდებზე მიღებული შთაბეჭდილებების ისეთი ფსიქო-ემოციური სურათი დახატა, თავს იოლად რომ ვერ დააღწევდით მის ემოციურ ნარატივს. ამბავი, რომელიც რაიონიდან ჩამოსულ ყმაწვილს ეხებოდა, სამუდამოდ დამამახსოვრდა.

„ფილოლოგიის ფაკულტეტზე მისაღებ აბიტურიენტებთან ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდების დასრულების შემდეგ, ეკონომიკის ფაკულტეტზე გადავინაცვლე, აბიტურიენტების ნაწერების გასასწორებლად“, — მიამბობს ედიშერი. აქვე შევნიშნავ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი იმხანად ე.წ. პრესტიჟულ სპეციალობათა რიცხვს არ განეკუთვნებოდა და აბიტურიენტებიც, მომზადების ხარისხით, სხვებს ბევრად ჩამოუვარდებოდნენ; ყურადღება საბუნებისმეტყველო საგნებზე ჰქონდათ გამახვილებული და ქართულის წერის გამოცდას, ცოტა არ იყოს, ზერელედ უყურებდნენ. გუმანით მივხვდი, სახალისო ისტორია მელოდა და ყურადღება დავძაბე. „მერე, რა ჩაიდინე, ჩამოამწკრივე ხომ საცოდავი სამიანები“ - ვკითხე, „სანუგეშო ვერაფერი აღმოაჩინე?“ „დიდი ვერაფერი, თუმც ერთმა ნაწერმა გულწრფელად გამაოცა“, განაგრძო მან. ტრადიციულად, არაჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აბიტურიენტები, საწერად, თავისუფალ თემებს ირჩევდნენ, ფონს იოლად გავალთო — ფიქრობდნენ. ეგონათ, ამით პროგრამის დასწავლას ასცდებოდნენ, გამსვლელი ქულების დაგროვებას კი როგორღაც მოახერხებდნენ. თუმცა ეს მხოლოდ თავისუფალი თემებისადმი მათი გულუბრყვილო, საფუძველს მოკლებული დამოკიდებულება იყო, რადგან პედაგოგიური გამოცდილებით, ვინც საპროგრამო მასალას კარგად იცნობს, ჩვეულებრივ, თავისუფალ თემებსაც გაცილებით უკეთ სძლევს. დაუწერელი სტანდარტით, მსგავსი დავალების შესასრულებლად, სასურველი იყო, აბიტურიენტებს ქართული მწერლობის გარშემო ეტრიალათ. მაგალითად გამოცდაზე თავისუფალ თემად ჩემი საყვარელი გმირი, მწერალი, ანდა ნაწარმოები თუ მოვიდოდა, აპრიორი ითვლებოდა, რომ აბიტურიენტს რომელიმე ქართველი მწერლის თხზულება, ანდა მისი ლიტერატურული გმირი უნდა წარმოეჩინა.

**ედიშერის გაკვირვების პირველი მიზეზი ერთ-ერთი აბიტურიენტის მიერ საყვარელ ნაწარმოებად დიუმას „სამი მუშკეტერის“ დასახელება გამხდარიყო. გულწრფელად ვაღიარებ, ამ ფაქტმა მეც გამაოცა, რადგან მსგავსი გადაწყვეტილება, თავად აბიტურიენტისთვის, ცოტა არ იყოს, სახიფათო იყო და უნებლიედ აღმომხდა: „ღმერთი ხომ არ გაგიწყრა, ამის გამო ბავშვს ნიშანი ხომ არ დააკელი?“ „არა, რას ამბობ“, მიპასუხა, „ნიშანს როგორ დავაკლებდი, ისეთი მშვენიერი ნაწერი ჰქონდა, ისე კარგად აღწერა დიუმას გმირების თავგადასავალი, სინდისი როგორ გამიშვებდა, არჩევანის გამო ნიშანი დამეკლო. რაც მთავარია, მთელი პასაჟები ზეპირად ახსოვდა და იმდენად კარგად ახდენდა ციტირებას, აღფრთოვანებული დავრჩი და გულმა არ გამიძლო, ნაწერით მიღებული შთაბეჭდილება სხვებისთვისაც არ გამეზიარებინა. ამიტომ რამდენიმე გამსწორებელსაც წავაკითხე ჩემი განწყობის შესამოწმებლად. ყველას ერთნაირი რეაქცია ჰქონდა“.**

„კი მაგრამ, ზეპირად მოხმობილი ტექსტი როგორღა შეამოწმე, მოწაფეობის მერე, ალბათ, „სამი მუშკეტერი“ არც კი გაგხსენებია“, — ვკითხე.

„ჰო, მართალი ხარ, ამ ფაქტმა, მართლაც თავსატეხი გამიჩინა და სასწრაფოდ დიუმას თხზულება მოვითხოვე. იმ პირობებში ეს იოლი საქმე არ იყო, მაგრამ როგორღაც მოძებნეს და რომ შევადარე, გავოცდი, იმდენად ზუსტად იყო მოხმობილი ციტატები, კაცი ძნელად დაიჯერებდა, რომ აბიტურიენტმა „შპარგალკით“ არ ისარგებლა“...

ნიშნების უწყისში გადატანისას ედიშერს უნახავს, რომ მშვენიერი ნაწერის ავტორი, დასავლეთ საქართველოს რომელიღაც სოფლიდან ჩამოსული ბიჭი იყო, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა, გამოცდებიდან ხომ უკვე თითქმის მთელი თვე იყო გასული. გული დამწყდა, ვინაობა რომ ვერ დავაზუსტე, თუმც კარგა ხანს გამყვა ფიქრი იმ ერთ გამორჩეულ სოფლელ ბიჭზე, რომელსაც მჯერა, უსათუოდ, კარგი პედაგოგები ეყოლებოდა, კითხვის სიყვარული რომ გაუღვივეს და ჰუმანიტარული ცოდნის მიმართ, არც თავად უნდა ყოფილიყო გულგრილი. ყმაწვილი კაცის პიროვნული თვისებები და ფართო ინტერესებიც ეჭვს არ იწვევდა — დინების საწინააღმდეგოდ ცურვის წადილი, მის წინაშე დასმული ამოცანის არაორდინარული გზით გადაჭრის უნარი, კარგი მეხსიერება, შინაგანი თავისუფლება, სითამამე და გონიერება. ბიჭი არ შეშინდა, ტრადიცია დაარღვია და რომელი ავტორიც გულს მეტად უხარებდა, ქართული ენისა და ლიტერატურის წერის გამოცდაზე, გულწრფელად, მასზე შეჩერდა. თანაც სათქმელის გადმოცემაც მარჯვედ და ხარისხიანად მოახერხა. ასეთი კარგი მეხსიერების პატრონს, ალბათ, პოეზიაც კარგად ეცოდინება, გავიფიქრე. ნეტა, სად არის ახლა ეს ბიჭი? დარწმუნებული ვარ, ჩაირიცხა, ალბათ საუკეთესო სტუდენტი გახდა, როგორ დაამთავრა და ახლა რას საქმიანობს? ეგებ სადმე, კაბინეტში მოანგარიშედ, ანდა საქონელმცოდნედ ზის და მისაბაძი გმირები საერთოდ გადაავიწყდა, ან იქნებ სწავლა განაგრძო და დისერტაცია დაიცვა. ან ეგებ, მეოცნებე ბიჭი, ეკონომიკური ფაკულტეტით განიხიბლა, სწავლა მიატოვა და, დარტანიანივით, ისევ თავის იდეალურ გმირებს მიაკითხა; ათოსმა, პორთოსმა და არამისმა კი მას ცხოვრების სულ სხვა გზა უჩვენეს, ისიც ადგა და, რომანტიკული თავგადასავლების მოტრფიალე, ახალ სპეციალობას დაეუფლა, ვფიქრობდი ჩემთვის.

გარბოდა წლები და, ცხოვრების ორომტრიალში ჩართულს, ბევრი რამ გადამავიწყდა, მეხსიერების სალაროდან უფრო და უფრო იშვიათად გამოკრთოდა იმ ერთი კარგი ქართველი ბიჭის ამბავიც, რომელიც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მჯეროდა, ცხოვრებაში თავის ადგილს უცილობლად იპოვიდა. თუმც, სხვაგვარადაც ხომ არაერხთელ მომხდარა, ბევრი ტალანტი უგზოუკვლოდ დაკარგულა, ბევრის იღბალი საბედისწეროდ შეტრიალებულა. მაგრამ შინაგანი ხმა მკარნახობდა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ მოხდებოდა. მიზნისაკენ სწრაფვის ჟინი და დაკვირვებული მკითხველის თვალი ბიჭს ცხოვრებაში უსათუოდ წაადგებოდა და საყვარელ მწერალთა თხზულებებიც კეთილ საქმეს თავს დაადგამდნენ, დიდ ცხოვრებაში ფეხშედგმულ ყმაწვილს გონივრულ რჩევებს დაუმადლებლად მისცემდნენ...

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სამოცდაათიანები დასრულდა და მას უმალ ოთხმოციანებიც მიჰყვა, თავისუფლების გაცხადებული წყურვილისა და რევოლუციურ განწყობათა ჭიდილში, ჰაერში თანდათან დენთის სუნი დატრიალდა, ქვეყანა სიღარიბისა და პოლიტიკური ბრძოლების ორომტრიალში ჩაიძირა და ბიჭიც სრულ დავიწყებას მიეცა. ქაოსმა და განუკითხაობამ, კლასიკოსი მწერლების თხზულებები, რაზეც თაობები გაიზარდა და საბჭოთა ინტელიგენტის პიროვნული სახე ჩამოაყალიბა, ქუჩებში, სახელდახელოდ გამართულ დახლებზე გამოფინა, — თითო ერთ ლარად. თვალზე ცრემლმომდგარი, თავდახრილი წიგნის გამყიდველები კანტი-კუნტად გამოჩენილ მყიდველებს თვალს ვერ უსწორებდნენ და სირცხვილისა და სინანულის გორგალი ყელში ებჯინებოდათ.



**უკიდურეს სიდუხჭირეში ჩავარდნილი ადამიანები, გამოსავლის ძიებაში, ათასგვარ მითებს თხზავდნენ და ძალუმად კუდიანების დევნას აყოლილები, ხან ვის, და ხან ვის, ხშირად საზოგადოებისთვის სრულიად უცნობ პირებს ასახელებდნენ, ქვეყანას მხსნელად რომ მოევლინებოდნენ და აღმაჴვნაში შეეშველებოდნენ. გამოჩენით კი არავინ ჩანდა და აღმაჴნულის დაღმა ფარცხვაში ილეოდა ერის სასიცოცხლო ენერგია. დროდადრო, აქაიქ, რწმენის ნაპერწკალი მაინც გაკაწრავდა ნეგატიურად დამუხტულ სივრცეს, რაც ხალხს იმედს აძლევდა, რომ თავდაღმართში ინერციით ქროლვას, ისტორიული გარდუვალობით, ვიღაცა უსათუოდ შეაჩერებდა და ქვეყანა ფიზიკური განადგურების საფრთხეს თავს დააღწევდა.**

მყუდრო ოჯახური ფუსფუსი და ადამიანური ურთიერთობები მიტინგებზე სიარულით შეიცვალა და დაბნეული საზოგადოება, ამა თუ იმ პოლიტიკოსზე ექსკლუზიური უფლების მოსაპოვებლად, სხვადასხვა ჯგუფებად დაიქსაქსა. ჟურნალისტებმაც თავიანთ პროფესიულ მოვალეობას არ უღალატეს და გაზეთების ფურცლებზე საინფორმაციო ქარბორბალა დაატრიალეს. გაჭირდა ავისა და კარგის გარჩევა. ზოგი სად მიაქროლებდა სიდუხჭირეში დაღლილ-დაქანცული კაცის გონებას, ზოგი — სად. აღარც კითხვის თავი და დრო იყო და აღარც ღირებულებათა სისტემაზე სნობური მჭევრმეტყველებით ფუყე თავმოწონებისა. ყველა ხედავდა, რაღაც უნდა შეცვლილიყო, ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ დრო უსაშველოდ იწელებოდა და სოციალურ სივრცეში სიკეთე და ბოროტება ხან ერთის სასარგებლოდ იცვლებოდა, ხანაც — მეორისა. პრესა კი საგულდაგულოდ აყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს, ოქროს შუალედის მოსახელთებლად.

ამ ორომტრიალში გაზეთებში ჯერ ფრთხილი ინფორმაცია გამოჩნდა, საქართველოში ინკოგნიტოდ მცხოვრებ პიროვნებაზე, რომელიც თურმე, უჩუმრად და უხ-

მაუროდ, ქვეყნისთვის მრავალ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. მერე კი თბილისელებმა, თაბორის მთის წინა კალთის, სოლოლაკის ქედზე რაღაც მშენებარე ობიექტი შენიშნეს. აღშფოთდნენ არქიტექტორები, ატეხეს ამბავი: როგორ შეიძლება მთაზე მშენებლობა, არღვევს მიკროლანდშაფტის ავთენტურობას და ქალაქის მთელ სივრცულ სტრუქტურას, ვინ არის, ასე რომ ამახინჯებს ჩვენს დედაქალაქსო, — გაიძახოდნენ და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებზე საჩივრებით ახდენდნენ შეტევებს. უკანონო მშენებლობათა წყება კი თბილისის ქვაბულს თავს მახინჯი სახურავივით დამხობოდა.

**სოლოლაკის ქედზე მიმდინარე მშენებლობა დასრულდა და ხარაჩოები რომ მოიხსნა, თბილისელები საოცარი ფერიცვალების მოწმე გახდნენ. მათ თვალწინ უცნაურ ნაგებობათა კომპლექსი წამომართულიყო, ქალაქის წიაღში გაჩაღებული მშენებლობისგან რადიკალურად რომ განსხვავდებოდა და, პროფესიონალის თვალით, არქიტექტურაში ახალ სიტყვად აღიქმებოდა. ამდენ ვნებათღელვაში, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ ეს კომპლექსი ქართველ მილიონერს, ვინმე ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა. „მილიარდერიო“ იმხანად აგრერიგად ვერ იტყოდით, ძნელად თუ ვინმე დაგიჯერებდათ, „მილიონერი“ ბევრად უფრო სარწმუნოდ ჟღერდა. შუშის ნაგებობები მალე ჩაეწერა ქალაქის საერთო განაშენიანებაში. მით უფრო, რომ თბილისის ძველი უბნის ეკლესიებისა და მეჩეთების ერთგვარ მოდერნიზებულ ანარეკლად იკითხებოდა. შენობის დამკვეთი, უცილობლად, არაორდინარულად მოაზროვნე პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელმაც მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შემავალ იაპონელ არქიტექტორს, დროის მოთხოვნათა შესაფერისად, შუშის ნაგებობა დაუკვეთა. ბუნებრივია, მისი გაცნობა, მასზე მეტი ინფორმაციის მიღება ყველას სურდა, რადგან იყო ამ პიროვნებაში რაღაც იდუმალი, უჩვეულო და უცნაური.**

მალე პრესაში ქართველ მილიონერზე სტატიებიც გამოჩნდა და გაზეთების ფურცლები ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით აჭრელდა. ინტერესი ერთხანს ჩრდილში მყოფი პიროვნებისადმი, თანდათან იზრდებოდა, ხოლო ხმა რომ დაირხა, პოლიტიკაში შემოსვლა განუზრახავსო, მოლოდინისა და დაძაბულობის განწყობა საზოგადოებაში ერთდროულად ამოტივტივდა. უფრო და უფრო მეტის გაგება ეწადათ კაცზე, ვისაც ფინანსური სიმაღლეები წარმატებით დაეძლია და ახლა აბსურდამდე მისულ პოლიტიკურ გარემოს მისდგომოდა შესაცვლელად. მოსახლეობის საინფორმაციო შიმშილი თანდათან, მცირე ულუფებად, მოვლენების განვითარების შესაბამისად კმაყოფილდებოდა. მალე ცვლილებათა კულმინაციის მომსწრეც გავხდით და გაზეთებში პოლიტიკაში ახალი სახის, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ გამოჩნდა, იმხანად მისი სენსაციური განცხადებების იმედისმომცემი პროლოგი, რამაც ჩემზე განსაკუთრებული შაბეჭდილება მოახდინა.

**ერთ დღეს, სიახლეების მომლოდინემ, გაზეთი რომ გადავშალე, ათასგვარი ინფორმაციის ტყვეობაში გახლართული, სახტად დავრჩი, თვალებს ვერ დავუჯერე. ჟურნალისტის შეკითხვას პოლიტიკაში ახალი სახე, ბიძინა ივანიშვილი პასუხობდა, ამბობდა, რომ მისი საყვარელი ნაწარმოები „სამი მუშკეტერია“ და რომ ეკონომიკის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თავისუფალ თემად თავისი საყვარელი ნაწარმოები, ა.დიუმას „სამი მუშკეტერი“ აირჩია და რომ ამ სათავგადასავლო რომანის მთელი რიგი ადგილები ზეპირად ახსოვდა. გაოცებულმა ინტერვიუ რამდენჯერმე გადავიკითხე. ედიშერი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ იყო, ჩემი განცდების ეს ერთი წნული მისთვისაც რომ მეწილადებინა. გულში სითბო ჩამეღვარა, მეგონა, ხელახლა აღმოვაჩინე ჩემიანი, კარგად ნაცნობი, ძალზე ახლობელი ადამიანი. მერე კი აღელვებულმა ტაში შემოვკარი და სიხარულით აღმომხდა: — „ბიჭმა გაამართლა!“**

**— ნეტარ არიან მორწმუნენი....**



ქეთევან ტომარაძე,
ტ. 595850936

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ამჟამინდელი თავმჯდომარე სათავეში ჩაუდგა 2019 წელს. აფხაზეთის მთავობის სათავეში აბაშიძის დანიშვნამ დევნილ მოსახლეობაში დიდი პროტესტი და მოულოდნელი გაკვირვება გამოიწვია, რადგან მის ბიოგრაფიაში არ არსებობს მინიშნებაც კი, რაც აფხაზეთთან ყოფილიყო დაკავშირებული, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ის ქ. გაგრაშია დაბადებული, ხოლო როდესაც ჩვენი გმირები აფხაზეთის ომში სამშობლოს ეწირებოდნენ, აბაშიძე ჰორიზონტზეც არ ჩანდა. დანიშვნის მომენტისთვის მას არ იცნობდა დევნილი მოსახლეობა და მათ ის დღემდე ვერ აღიქვეს თავიანთ წარმომადგენლად, რასაც ადასტურებს რეგიონებში სტუმრობისას მის მიმართ დევნილების მხრიდან გამოხატული არაერთი დაპირისპირება. აღსანიშნავია, რომ ეს განწყობა გააძლიერა ამ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე აბაშიძის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამაც...**


მართალს ვიტყვი!..
№ 11-12. ორშაბათი-სამშაბათი, 18-19 იანვარი, 2021 წელი.
ამ წერილის დასათაურება შემთხვევით არ მოსვლია გონებაში, პირიქით, სხვანაირად რომ მეთქვა, იმის უფლებაც არა მაქვს... არც მინდა სათქმელი ძალიან გამიგრძელდეს და მკითხველს თავი მოვაბეზრო, ისედაც არსებული რეალობის, მსოფლიოს გამოწვევის დროს, რამაც თითქმის ერთი წელია მოიცვა სამყარო... მაგრამ ყოველივე იმის მიჩქმალვა და ყურადღების მიღმა დატოვება, რაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ხდება, რუსლან პირველი (აბაშიძის) ანუ იგივე რიჩარდ მესამის „მეფობის“ პერიოდში, ნამდვილად შეუძლებელია...
რუსლან პირველი, ანუ იგივე რიჩარდ მესამე თანამედროვე საქართველოს რეალობაში
დევნილი მთავრობის ხარბი თავკაცი
ღია წერილი მმართველ პარტიას, ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

# სირცხვილი, რომელის სირცხვილზე მეტია

## ესკიზები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის რუსლან აბაშიძის „მოღვაწეობიდან“

თანამდებობაზე დანიშვნიდან სულ რაღაც ერთ თვეში, 23 მაისს, უნდა გამართულიყო ჩვენი უწმინდესის მიერ დადგენილი „აფხაზეთის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება; ამ ღონისძიების გამართვის ადგილი და დაფინანსება შეიცვალა უშუალოდ აბაშიძის მითითებით და, რაც ყველაზე საინტერესოა, ღონისძიების ორგანიზებისათვის გამოყოფილი თანხები მოულოდნელად გაიზარდა და კანონდარღვევით გადაირიცხა აბაშიძის ოჯახთან დაკავშირებული ორგანიზაციის ანგარიშზე. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა „სახელმწიფო **აუდიტის სამსახურის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის აუდიტის ჯგუფის,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა 2020 წლის 7 დეკემბრის შეხვედრის ოქმში“**.

ყურადღებას იქცევს აფხაზეთის მთავრობაში, საეჭვო კომბინაციებით, ავტომობილების შეძენისა და მოხმარებულ საწვავთან დაკავშირებული საკითხებიც, რამაც ასევე ასახვა ჰპოვა **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშში“ (20 ოქტომბერი, 2020 წ.)**.

მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების პირობებში მთავრობას დაქვემდებარებულ სტრუქტურებში გახშირდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთელი რიგი უზუსტობები, რაც ასევე ასახულია **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშში (20 ოქტომბერი, 2020 წ.),** რაშიც ეჭვია გამოთქმული თაღლითურ შეთანხმებებზე და საუბარია რომ: „ვახორციელებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რაც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე — შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან და კონტროლის მექანიზმების იგნორირებას“

ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2008 წლის 18 აპრილის №200 ბრძანებულებით შეიქმნა **„საქართველო-რუსეთის** სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, **საქართველო-აზერბაიჯანის** სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა დადემარკაციის, **საქართველო-სომხეთის** სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შავ ზღვაზე ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის დელიმიტაციის სახელმწიფო კომისია“. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 მარტის №208 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეიქმნა კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი გახლდათ რუსლან აბაშიძე. ეს ის კომისიაა, რომელმაც დაადგინა და, როგორც ირკვევა, ხელი მოაწერა დავით-გარეჯის პერიმეტრზე საქართველოს ისტორიული მიწების გარკვეული ნაწილის აზერბაიჯანული მხარისათვის მიკუთვნებას. ამ აქტმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ამ ბოლო პერიოდში. რა თქმა უნდა, როგორც კომისიის წევრს, რუსლან აბაშიძესაც ხელი აქვს მოწერილი აღნიშნულ დოკუმენტზე.

**წარმოდგენილი ინფორმაციის გამოაშკარავებამ აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებაში განსაკუთრებული გულდაწყვეტა და თან გაბრაზება გამოიწვია. ნებისმიერ დევნილს, ვინც აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს, თუ შევეკითხებით, რას ფიქრობს ფაქტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, პასუხია, რომ მსგავს პროცესებში მონაწილე პირი არ უნდა წარმოადგენდეს დევნილ საზოგადოებას.**

აბაშიძის მოღვაწეობას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის პერიოდში წითელ ხაზად გასდევს უწყვეტი რეორგანიზაციის პროცესი, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლების დათხოვნა სამსახურებიდან, თუმცა პარალელურად ჰყავავის ნეპოტიზმი.

2019 წელს, თავმჯდომარის მითითებით, გაუქმდა სსიპ. „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ და სსიპ. „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი“, აქ დასაქმებულ პროფესიონალთაგან უმრავლესობა დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, უმეტესი მათგანი დარჩა მხოლოდ დევნილთა 45 ლარიანი ფინანსური შემწეობის იმედად, თუმცა მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივითა და შესაბამისი დადგენილებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“ **(დადგენილება №40, 2019, 26 ნოემბერი);** ამას თან დაერთო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც გაუქმებული სსიპ-ების ბიუჯეტთან გაერთიანებულად გადაეცა ახლადშექმნილ სააგენტოს, რამაც გამოიწვია სამინისტროს ფუნქციების დაკნინება. რეორგანიზაცია განხორციელდა არამხოლოდ ხსენებულ სამინისტროში, არამედ სხვა გარკვეულ სამთავრობო სტრუქტურებშიც. სააგენტოს ბიუჯეტმა 2020 წლის მეორე ნახევარში დაახლოებით 700 000 ლარი შეადგინა. ზემოხსენებულ სააგენტოზე ფინანსური კონტროლი უნდა განახორციელოს აფხაზთის აჰრ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, მაგრამ ეს უფლება თავმჯდომარის მხრიდან მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, რამაც შემდგომ განაპირობა მთელი რიგი პროცესები. თუმცა მანამდე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თავმჯდომარის უპრინციპო და წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს:

2019 წლის 28 მაისს, (იმ დროისათვის ვასრულებდი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას)აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით დავინიშნე ამავე სამინისტროში მინისტრის მოადგილედ **(ბრძანება №121),** ხოლო მეორე დილით, 29 მაისს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. **(ბრძანება №123)**.როდესაც მე მას შევხვდი და დავინტერესდი, თუ რა გახდა ჩემი გათავისუფლების მიზეზი, მისგან გარდა იმისა, რომ მომიხადა ბოდიში, პასუხი ვერ მივიღე.

ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის 19 მარტს მე კვლავ დავინიშნე აღნიშნული სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ **(ბრძანება №44)**.

ჩვენი ერთად მუშაობის პროცესში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე და მისი გუნდი ვცდილობდით შეგვეცვალა თავმჯდომარის ფინანსური პოლიტიკა და შეგვეჩერებინა თანამშრომელთა განუწყვეტელი, უსაფუძვლო დათხოვნა-ჩანაცვლების პროცესი. განსაკუთრებით კი ჩვენთვის უხერხულობას იწვევდა ზემოხსენებული სააგენტოს ფინანსური ხარჯვის საკითხი, თან ვიცოდით, რომ აუდიტი თუ სააგენტოსთან მიმართებაში დარღვევებს აღმოაჩენდა, პასუხისმგებელი იქნებოდა ჩვენი სამინისტრო და არანაირი იურიდიული ძალა არ ექნებოდა აბაშიძის სიტყვიერ მითითებებს (თუმცა არსებობს წერილობითი დოკუმენტებიც). 2020 წლის 17 ივლისს, როდესაც მე მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი,მინისტრთან, მინისტრის მოადგილეებთან და გუნდთან შეთანხმებით მოვამზადეთ წერილი **(MES 6 20 0000603514)** მთავრობის თავმჯდომარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ჯემალ გამახარიას სახელზე, თხოვნით, რათა განეხილათ აღნიშნული სააგენტოს მთავრობის თავმჯდომარის აპარატის უშუალო დაქვემდებარებაში გადაყვანის საკითხი, რადგან მსგავსი პრეცედენტი უკვე არსებობდა. აღნიშნულ წერილს მოჰყვა 2020 წლის 20 ივნისს ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება. **(ბრძ: №101)**.

* * *

გათავისუფლებამდე ერთი თვით ადრე მე გამომეცხადა მადლობა: **„კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და ნეგატიური სოციალური შედეგების შემცირების მიზნით თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანაზე და სამსახურებრივ მოვალეობათა სანუმუშოდ, კეთილსინდისიერად და ეფექტურად შესრულებისათვის“ (ბრძანება №152/კ, 29. 06. 2020). ამასთან მინდა აღვნიშნო, ხსენებულ სამინისტროში ვმუშაობ 2005 წლიდან. 2009 წლიდან მენეჯერულ პოზიციებზე, მაქვს მიღებული მადლობები, მათ შორის აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ორი საპატიო სიგელი, ვარ გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი. 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიები. ამაყად შემიძლია თქმა, რომ ღირსეული წვლილი მაქვს შეტანილი სამინისტროს მუშაობასა და მისი განვითარების საქმეში).**

იხ. 7 გვ.

# მესამე სამყაროდან პირველში - ნახტომით!




## რუსეთთან მეზობლობის „ბედნიერება“

**რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და ყირიმის ანექსიის შედეგად რუსეთის ექსკლუზივს, მისი გაგებით, „ახლო საზღვარგარეთზე“ თითქოსდა არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ეს სტატუსი მაინც მყიფე იყო, რასაც დროდადრო ადასტურებდა ქართული და უკრაინული ქეისები. მთიანი ყარაბაღის მეორე ომმა და, მის შედეგად, წინა წლის 10 ნოემბრის შეთანხმებამ კი ახლო სამეზობლოზე რუსული ინტერესი, ერთგვარად, გეოპოლიტიკური კოჰაბიტაციის რეჟიმში გადაიყვანა. წარმოიქმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ზონები, სადაც მოსკოვს სხვა ქვეყნების ინტერესებთან თანაარსებობა, ან ასეთ ინტერესებთან გარკვეულ „სათანამშრომლო“ ფორმატებზე შეთანხმება უწევს. ეს - რაც შეეხება ჩვენთვის ერთ მეტად არსებით ტენდენციას.**

ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკის“ არ იყოს, რუსეთის ამჟამინდელი შესაძლებლობების მიმართ სიფხიზლის მოდუნება დაუშვებელია. ბოლო წლების განმავლობაში რუსული ძალის ფაქტორის თაობაზე არაერთხელ „გამოცხადებული ქრონიკის“ მიუხედავად, მისი გეოპოლიტიკური დაქვეითება ნელ პროცესად იქცა, მეტიც — ამ პროცესში „მომაკვდავი“ დროდადრო შთამბეჭდავად „ცოცხლდება“, რითაც გავლენას ახდენს არა მარტო უშუალო სამეზობლოზე, არამედ უფრო შორეული გეოგრაფიული ზონების პოლიტიკურ მოვლენებზეც. ასე მაგალითად, მოსკოვის ბოლო წლების გეოპოლიტიკურ მონაგარშია ხისტი თუ რბილი ძალის პროექცირება ახლო აღმოსავლეთზე, ბალკანეთზე, ჩრდილოეთ აფრიკაზე. არსებითად გამრავალფეროვნდა რუსული ინტერვენციების გამოვლინება - დაწყებული ექსპედიციური შეიარაღებული ძალის უნარების ზრდითა და გაგრძელებული რუსეთის მიერ „საჯარო-კერძო პარტნიორობის“ ფორმის მქონე გარე ჩარევებით (მაგალითად, რიგ შემთხვევებში „ვაგნერის“ ცნობილი ჯგუფების გამოყენება).

მსოფლიოს გადმოსახედიდან ერთ-ერთ პოპულარულ საკვლევ საკითხად დღესაც რჩება ბარაკ ობამასდროინდელი დილემა — წარმოადგენს თუ არა რუსეთი გლობალურ თუ რეგიონულ ზესახელმწიფოს? ეს შეკითხვა საერთაშორისო ურთიერთობებსა და მათ რეგიონულ კვეთაზე მრავალი საინტერესო ნაშრომისა და საჯარო დისკუსიის საფუძველი გახდა, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი, დამაჯერებელი პასუხი დღესაც არ არსებობს.

მაგრამ ჩვენთვის, როგორც რუსეთთან უშუალო სამეზობლოში მყოფი ქვეყნისთვის, გაცილებით აქტუალურია სხვა ფორმულირების შეკითხვა: საჯარო განცხადებების მიღმა არის თუ არა მცირე ალბათობა თუნდაც იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთგვარი კომპრომისის (გარიგება ცუდი სიტყვაა) ობიექტად რჩებოდეს? იმედია, რომ არა. გვჯერა, რომ არა. მაგრამ საკითხის ირგვლივ დამაჯერებელ მტკიცებას სწორედ ქმედითი და დროული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება (რაც ამ სტატიაში უკვე ვახსენეთ); წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ იარსებებს მაღალი რისკი იმისა, რომ ქვეყანამ ორ მსხვილ პოლიტიკურ-ნორმატივისტულ ბანაკს შორის ე.წ. რუხ ზონად არსებობა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განაგრძოს. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე მისი სტრატეგიული გაურკვევლობისა (შიდაპოლიტიკური აშლილობა, საზოგადოებაში დაქსაქსვა და სხვ.) და მსოფლიოს თვალში უარყოფითი სადემონსტრაციო ეფექტის (ვთქვათ, სატრანზიტო პოტენციალის შეზღუდვა, საინვესტიციო მიმზიდველობის დაქვეითება) მიზეზი გახდეს.

**როგორც თბილისის, ისე მისი მოკავშირეების მხრიდან მიმდინარე რეგიონული პროცესების მიმართ ასეთი დამაჯერებელი ქმედება და მიზანმიმართულება ჩვენს პარტნიორობას საბოლოოდ დააწინაურებს. იგი დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ერთიანი რესურსი მეტად ეფექტიანად გამოვიყენოთ შეკავების, მდგრადობისა და კომუნიკაცია-დიალოგისთვის. ამ კომპონენტების ერთიანობა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით სტანდარტების ზრდას არ გულისხმობს. უდავოა, რომ საერთო სურათში, კონკრეტულად — სამხედრო, ზოგადად კი, უსაფრთხოების ამოცანა უაღრესად პრიორიტეტულია. თუმცა, ქართულ-დასავლური კონცენტრირებული ძალისხმევის საბოლოო შედეგი მაინც სხვა, გაცილებით უფრო დიდ და კომპლექსურ შედეგში გვესახება, — ევრაზიის სამხრეთით საქართველო დასავლეთ გერმანიის ან სამხრეთ კორეის ანალოგად იქცეს. ამ მაღალი სინჯის ამოცანის მიღწევა, გარდა საგარეო ფაქტორებისა, მთელი რიგი საშინაო ფაქტორების გადაჭრას, ინსტიტუციურ განვითარებასა და სრულყოფას მოითხოვს. სწორედ ასე უნდა მოემზადოს ქვეყანა არახელსაყრელ გარემოსთან ხანგრძლივი (იმედია, არცთუ ხანგრძლივი) თანაარსებობის პირობებში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.**

## ის, რასაც ჩვენ ნაცვლად სხვა ვერ გააკეთებს

ქართული საქმის საბოლოო წარმატებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის, საქართველოს მოკავშირეებისა და პარტნიორების მხარდაჭერა დიდია. უდავოა, რომ ამ მხარდაჭერასთან ერთად არის ისეთი საკითხებიც, რომლებიც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მისახედი და მოსაგვარებელია.

ასეთ საკითხთა ჩამონათვალშიც განსაზღვრული წესი და წესრიგი უნდა დავიცვათ, რათა შევძლოთ იმ უმთავრესის გამოყოფა, რომელზეც დანარჩენთა დაშენება ხდება. რთულია ერთ ნაწერში ყველა პრიორიტეტის აღნიშვნა; ამაზე პრეტენზია არც გვაქვს, მეტიც, — ეს გაცილებით უფრო ვრცელი განსჯის საგანია და ასეთი დისკუსიები ქართველ საზოგადოებაში იშვიათი არ არის.

ამ დიდ მსჯელობას სტატიით შევუერთდებით და მკითხველის ყურადღებას ჯერ კიდევ აქტუალურ, რამდენიმე კრიტიკულ საკითხს მივაქცევთ.

## საზოგადოების თანამონაწილეობის როლის შესახებ

**საზოგადოებაში სწორი პრიორიტეტების გამოკვეთა და მათ ირგვლივ კონსოლიდაცია უმთავრეს გამოწვევად რჩება. ვერ დავეთანხმებით მათ აზრს, ვინც ამტკიცებს, რომ ქართველი საზოგადოება მეტისმეტად პოლარიზებულია. ვფიქრობთ, ეს არ არის სწორი განცხადება, ვინაიდან რადიკალურ პოლარიზაციასაც, სულ მცირე, რამდენიმე ღირებულებითი სისტემა სჭირდება, რაც ამა თუ იმ სისტემის გარშემო გარკვეული სეგმენტის თავმოყრას განაპირობებდა, — მით უფრო, რომ ამა თუ იმ ეტაპზე ხელისუფლების ან ოპოზიციის მხრიდან მწყობრი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მკაფიო კონტურების გარეშე, ქვეყანაში გამართული პარტიებისა და შესატყვისი პარტიული პროგრამების, პარტიული იდეოლოგიებისა და სახელმწიფოს შენების მიმართ სისტემური მიდგომის გარეშე ღრმაშინაარსიანი სიტყვის — „პოლარიზაციის“ გამოყენება საფუძველს მოკლებულია.**

ამდენად, ის, რასაც ცალკეული მარგინალური თუ „მეინსტრიმული“ პოლიტიკური ჯგუფები და მათ აყოლილი მედიასაშუალებები (ნამდვილ მედიამდეც ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი), ამა თუ იმ გამოწვევის გასაკეთილშობილებლად „პოლიტიკურ შეხედულებათა შეუთავსებლობად“, „სისტემური ხედვების კონფლიქტად“ თუ სხვა მაღალფარდოვანი ლექსიკით შემოსავენ ხოლმე, სხვა არაფერია, თუ არა ხვალინდელზე ორიენტირებული გზის შეთავაზების უნარის არქონა და გაუბედაობა, ახსნან ამ უუნარობის მიზეზი. ეს მიზეზები, ალბათ, მრავალსახოვანია, მაგრამ მათი ძირითადი არსი პოლიტიკური კლასის მნიშვნელოვანი ნაწილის უმეცრება, საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საკმარისი სურვილისა და ნების არქონა, ახალი და არგუმენტირებული გადაწყვეტის გზების შეთავაზების ობიექტური შეუძლებლობაა. მეტიც, ამჟამინდელი სურათის შემხედვარე, იქმნება წარმოდგენა, რომ ჩვენი პოლიტიკური კულტურა ღრმა წარსულში ჩარჩა, ხოლო დღეს მოქმედ არაერთ ფიგურანტს (მათ, ვისაც პრეტენზია აქვთ, საზოგადოების სახელით ილაღადონ) თვითგანახლებისა და გადახალისების ძალა და სურვილი, პრაქტიკულად, აღარ შერჩათ. პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგების გარეშე კი ქვეყნის თვისებრივი განვითარება, პრაქტიკულად, განწირული მცდელობაა.

ასეთ ვითარებაში ჯანსაღი, დაბალანსებული და პასუხისმგებლობით გაჯერებული საზოგადოებრივი მუხტის უმთავრესი დანიშნულება პოლიტიკური სტანდარტების შეცვლისათვის სათანადო კონსტრუქციული ფონის შემზადებაა. ამ პროცესის თანმდევი შედეგია იმ აუცილებელი დოზის „შიდა წნევის“ აკუმულირება, რაც ქართული პოლიტველის რეგენერაციასა და ქვეყნისთვის საჭირო პოლიტიკური ხელწერის დამკვიდრებას განაპირობებს.

და კიდევ ერთი მოსაზრება: მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარებაში ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის კონტრიბუცია უნდა განისაზღვროს არა საპარლამენტო მანდატების სტატისტიკური მაჩვენებლით, არამედ საქვეყნო ინიციატივების რაოდენობითა და მასშტაბით და მათი რეალიზაციის ხარისხით. სტატისტიკა მიდის და მოდის და ისტორიულ მეხსიერებაში მისი ვადიანობა მოკლეა, ხოლო ღრმაშინაარსიან და გრძელვადიანი შედეგის მქონე ინიციატივებს, რეალურად, საქვეყნო მნიშვნელობა აქვს.

## ჯანსაღი ინსტიტუტები ქვეყნის სახეა

საერთაშორისო გამოწვევების მიმოხილვისას ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის როლსა და დანიშნულებაზე გავამახვილეთ ყურადღება. ამ ნაწილში კვლავ ხაზგასმით ვიტყვით, რომ, როგორი წარმატებული და მრავალფეროვანიც უნდა იყოს საქართველოს საგარეო თანამშრომლობა, ქვეყნის მედეგობა, სიძლიერე და განვითარება მაინც მისი შიდა რესურსებით იკვებება, მათ შორის, უწინარესად, სწორი სახელმწიფო ინსტიტუციური მოწყობითა და საჯარო სამსახურის სიმთელითა და სიჯანსაღით.

**მიზნის მისაღწევად აუცილებელია, ერთხელ და საბოლოოდ დამკვიდრდეს პროფესიული საჯარო-სამოხელეო სტანდარტები, რაც გამორიცხავს ადამიანური რესურსის შერჩევა-დაწინაურებას პოლიტიკური ან პარტიული ერთგულების ნიშნით. დღეს ამ მხრივ ვითარება შედარებით უკეთესია, მაგრამ პრესტიჟულ, ავტორიტეტულ და რეალურ მერიტოკრატიაზე დამყარებულ სამოხელეო კულტურამდე ჯერ კიდევ სამწუხაროდ შორია. ქვეყანაში უნდა დასრულდეს „ატრიბუტიკაშემკობილთა“ დომინირება, ხოლო გზა ქვეყნის მართვისაკენ და, მაშასადამე, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებებისაკენ — უნდა გაეხსნას ნიჭიერ, სპეტაკ, დიდი ინტელექტუალური და სააზროვნო პოტენციალის მქონე ადამიანებს. საჯარო სამსახურიდან „ტვინების გადინება“ უნდა ჩანაცვლდეს საჯარო სამსახურში „ტვინების შედინებით“.**

აქვე შევნიშნავთ, რომ ავთენტური ავტორიტეტულობის მიზნით კარგი იქნება, თუ მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავების საკანონმდებლო პირობად ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობა განისაზღვრება. ასევე აუცილებელია, ვიფიქროთ კვალიფიციური კადრების დაკომპლექტების გზით ქართული ეროვნული სპეციალური სამსახურების პრესტიჟულობის უფრო მეტად ამაღლებაზე. აგრეთვე, ხელახლა გასააზრებელია ჩვენი საგარეო სამსახურისა და დიპლომატიის ახალი როლი და დანიშნულება, რაც საკადრო და სტრუქტურულ ნაწილში სრულფასოვან და გაბედულ ღონისძიებებს მოითხოვს. ეს და სხვა ნაბიჯები ან შეძლებისდაგვარად უმოკლეს პერიოდში დაიგეგმება და განხორციელდება, ან ვერასდროს.

მთელი ამ პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ მდგენელად მიგვაჩნია ის, რომ არაერთ სახელმწიფო ინსტიტუტს ხელახლა აქვს „საპოვნელი“ თავისი თავი; ზოგს საკუთარი უშუალო ფუნქციების შეხსენება სჭირდება, ზოგიერთისთვის კი, თანამედროვე რეალობებიდან გამომდინარე, აუცილებელია ახალი ფუნქციების განსაზღვრა და არსებულის მოდიფიცირება. ვფიქრობთ, ამ პრობლემატიკის მეტად დეტალიზება ახლა ამ სტატიაში შეუძლებელია, ხოლო ნებისმიერი ასეთი დეტალური „ჩაშლის“ პრაქტიკაში განხორციელება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც ქვეყნისა და ეროვნული საქმის სამსახურში საქმის საკეთებლად რამდენიმე შეუვალ პრინციპზე მყარად ჩამოვყალიბდებით.

## ქართული „რბილი ძალა“ – მითი თუ რეალობა?

ეს დამოკიდებულია ჩვენს ამბიციაზე ისევე, როგორც ეთნოკულტურულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მემკვიდრეობაზე დაშენებულ საღ და რაციონალურ თანამედროვეობაზე. პირველში არ გვიჭირს: იგი ისტორიულად მდიდარია და ქართველებს დამსახურებულ სიამაყის განცდას გვძენს. მეორე კი პრობლემურია: სახელმწიფოებრიობის ხაზის ხანგრძლივი წყვეტის, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, შიდა კონფლიქტების, გარე აგრესიისა თუ დროის ისტორიული თვალსაზრისით მცირე მონაკვეთში მსოფლიოში მომხდარი დიდი ცვლილებების გამო, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს კონტურების საბოლოო მოხაზვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ამ პროცესის წარმატებით დასრულების ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ!) მთავარ პირობად ჩვენი ქვეყნის ფუნქციონალური დატვირთვისა და რეგიონულ თუ საერთაშორისო არენაზე მისი სარგებლიანობის პოვნა გვესახება. ამ საქმეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაედო საფუძველი, მაგრამ შემდეგ მინელდა. არადა, იგი განსაახლებელია და ამის საჭიროება ორი ძირითადი არგუმენტით აიხსნება: **პირველი** — ფუნქციის მქონე სახელმწიფო მისი შიდაეროვნული რესურსის მობილიზებისა და პერიოდული განახლების წყაროა; **მეორე** — საერთაშორისო-რეგიონული სარგებლიანობა ხელს უწყობს საფრთხეებისა და რისკების შესამცირებლად საჭირო გარე ყურადღებისა და დახმარების მომართვას. ზემოთქმულის გარდა, გარე და შიდა ასპარეზზე წარმატება არის არა მხოლოდ საქართველოს საზოგადოების, არამედ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მოკავშირეებისა და პარტნიორების ღირსების საკითხი. ამ გზაზე წარმატებული სვლა გახდება ყველაზე მყარი და დამაჯერებელი პასუხი სკეპტიკურ კითხვაზე — თუ რამდენად სწორი იყო გამოწვევების, წინააღმდეგობების, ისევე როგორც რეფორმებისა და ცვლილებების გზით სვლასთან დაკავშირებით ჩვენი მაგისტრალური არჩევანი. მეტიც, — ქართული საქმის წარმატება იმ ქართული წარმოშობის „რბილი ძალის“ ეფექტის ტოლფასი იქნება, რომელმაც შეიძლება, ურთიერთობათა ახალი წესრიგის ჩამოყალიბებისას ერთი მეტად კონკრეტული და საინტერესო ისტორიული მაგალითი შექმნას.



**ვიქტორ ყიფიანი,**
**„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-15

# სპეტაკი სულის პოეტი

## დილარ ივარდავა 80

**80 წლისა** შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი დილარ (დილიკო) თომას ძე ივარდავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:

ბატონო დილარ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს, მშობელი ქვეყნის ერთგულებით გამორჩეულ მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ექვს ათეულ წელზე მეტი გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი სამწერლო დებიუტი შედგა. 1957 წელს სრულიად ყმაწვილმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნეთ თქვენი პირველი ლექსი „დიოსკურია“. „მნათობში“ — სავანე ნათლისაში დაბეჭდვა ჭეშმარიტ შემოქმედად აღიარებას ნიშნავდა და ახლა სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არც თქვენთან მიმართებაში შემცდარა ჟურნალის იმჟამინდელი მთავარი რედაქტორი, ქართული პოეზიის აღიარებული მეტრი, ლიტერატურული ალღოთი და გემოვნებით გამორჩეული სიმონ ჩიქოვანი. თქვენ ხომ ამ პირველსავე ლექსში იწინასწარმეტყველეთ აფხაზეთის — საქართველოს ამ უმშვენიერესი ძირძველი კუთხის ახლანდელი ტრაგიკული ხვედრი, როდესაც ის ზღვაში ორივე მუხლით ჩაჩოქილ გოლიათს შეადარეთ. ამ ლექსმა მართლაც რომ გაუძლო დროთა მდინარებას და მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანაში ითარგმნა.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, მხატვრული თარგმანები, ესსეები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად. ორმოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორი ხართ, რომლებმაც სამართლიანად დაგიმკვიდრათ ადგილი წამყვან ქართველ პოეტთა შორის.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორიცაა „ასე იწყება ლერწმის შრიალი“, „ღარჭემის ხმები“, „ჩუქურთმა ხეზე“, „ჟამი“, „თიბათვე“, „გაფრენილი ციცარი“, „ჟამი გოდებისა“, „ჟამი მოხდომისა“, „ჟამი განსჯისა“, „ჟამი ქმედებისა“, „ჟამი მწუხრისა“ ქართველი მკითხველის დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა, რადგანაც ამ კრებულებით მათ წინაშე წარსდგა საქართველოს ერთი გულანთებული პატრიოტი, საკურთხეველთან დაჩოქილი რომ შელაღადებს არსთა გამრიგეს მშობელი ქვეყნის გადარჩენას, ღმერთო, სამშობლოს ფარი უფარე ცათა შინა და სატანას ზედაო. ყველაფრის მიუხედავად, მაინც გამოუსწორებელ ოპტიმისტად რჩებით და ვერავინ გადაგარწმუნებთ იმაში, რომ სამაჩაბლოს მუხაც და პიტიუნტის ბზაც სულ მალე ძველებურად ამოისუნთქავენ, დაიბრუნებენ ლაზათსა და ანდამატს...

საოცარი ხილვები გაქვთ. მართლაც რომ მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედს შეუძლია იმის დანახვა, თუ როგორ ეფერება ზღვა მისი ნატიფი ლურჯი ხელებით გაშლილი პალმების მწვანე სინაზეს, თუ როგორ ეცემა სირბილისგან გადაქანცული სიო სანაპიროზე მუხლებით, თუ როგორ სძინავს უცოდველ ყრმას დამსგავსებულ ფანტელებით განსპეტაკებულ უშბას ზეცის თაღებზე...

თქვენთვის ალავერდის დიდებული ტაძარი გედის წუხილია, კოლხეთი — მზის ამორძალი. ამიტომაც ძალიანაც გვსურს, დავიჯეროთ, რომ ნოეს კიდობანში თქვენც იმყოფებოდით, რომ ზეთისხილის რტოს, მშვიდობის ნიშანს, თქვენც შეაწიეთ ძალა მცირედი, რომ თქვენც აპურებდით ხორბლის მარცვლით მტრედს — გადარჩენის მაცნეს... თქვენს პოეზიას აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ორიგინალობისკენ სწრაფვა, სათქმელის ნათლად გამოხატვის უნარი გამოარჩევს სხვათაგან.



თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე; შესულია პოეზიის არაერთ ანთოლოგიაში.

თქვენი მშვენიერი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ადამ მიცკევიჩის, ალექსანდრე ბლოკის, მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ტარას შევჩენკოს, მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, იანკა კუპალას, ალექსი ლასურიას, პლატონ ბებიას, კოსტა ხეთაგუროვის და სხვათა შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს. უნდა აღინიშნოს, რომ თქვენს მიერ თარგმნილ ადამ მიჩკევიჩის „პან თადეუში“ სულ მალე ხელმეორედ გამოიცემა ბელოსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პოლონეთი) ხელშეწყობით.

ძალზე საინტერესოდ იკითხება თქვენი ლიტერატურულ-ბიოგრაფიული ესსეები ვიქტორ ჰიუგოზე, ო, ჰენრიზე, ერიჰ მარია რემარკზე, პაბლო ნერუდაზე, ანტონ ჩეხოვზე, ალექსანდრე გრიბოედოვზე, ჰანს-ქრისტიან ანდერსენზე, მამა-შვილ დიუმებზე...

თქვენი მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი ღვწა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, მემედ აბაშიძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, სსრკ კომკავშირის და საქართველოს კომკავშირის პრემიები. 1966 წელს იმდროინდელი საკავშირო „ახალგაზრდული პოეზიის“ კონკურსში, რომელშიც 32 ათასზე მეტი ახალგაზრდა შემოქმედი მონაწილეობდა, პირველი პრემიით დაჯილდოვდით.

თქვენი პოეტური ძალმოსილების დასტურია სულ ახლახან გამოცემული კრებული „მძაფრი განცდებით“, რომელშიც გაცხადდა, რომ პოეტს, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია, ვერარას აკლებს წელთა სიმრავლე.

თქვენი მეგობრები გულის სიღრმემდე შეგვძრა თქვენმა „წარმართულმა ელეგიებმა“, მარადიული სიყვარულისა და ერთგულების ჰიმნმა, რომლებიც თქვენი ცხოვრების თანამგზავრისა და მუზის ანტონ ფურცელაძის ღირსეული შთამომავლის, ქალბატონ ცირას ხსოვნას მიუძღვენით.

ბატონო დილარ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჩვენი საესავი ქვეყნის სადიდებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# 2008 წლის ომი: რას შეცვლის სტრასბურგის ისტორიული გადაწყვეტილება?!

**ეს** სამართლებრივი დოკუმენტი უდიდეს გავლენას მოახდენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში, — ასე აფასებს იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი 2008-1016 წლებში **ლევან მესხორაძე „აქცენტთან“** 2008 წლის ომზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც წარდგენიდან 13 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.



### გადაწყვეტილების მთავარი ღირებულება

როგორც მესხორაძე განმარტავს, მტკიცებულებებით გამყარებული სამართლებრივი დოკუმენტით საერთაშორისო სასამართლოს მიერ პირველად დადგინდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტი და სწორედ ესაა საერთაშორისო ძალის დოკუმენტის პირველი მთავარი და უცვლელი ღირებულება.

**„ამ ნაწილში, ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა: დღეის მდგომარეობით, ეს (ოკუპაცია — რედ.) დადგენილი გარემოებაა და საქმის ამ ღირებულებას, სულ რომ არც ერთი ნაბიჯი არ გადაიდგას ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად (ვიცით, რომ აღსრულებას პრობლემები ექნება), სამომავლოდ ვერაფერი შეცვლის — ეს მომენტი ყოველთვის იქნება დღის წესრიგში“.**

### გადაწყვეტილების როლი დეოკუპაციის პროცესში

როგორც მესხორაძე განმარტავს, თუ აქამდე საქართველოს არაღიარების პოლიტიკის ფარგლებში რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლა საკუთარი არგუმენტებით უწევდა, დღეიდან ევროსასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთისთვის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი გახდება:

**„იცით, რომ რუსეთი ბევრს მუშაობს ქართული ტერიტორიების აღიარების კუთხით. ბუნებრივია, აღიარება პოლიტიკური აქტია. ეს პოლიტიკური აქტი ამ გადაწყვეტილებით სამართლებრივად „მოკვდა“: სამომავლოდ მსგავსი აღიარების აქტი სამართლებრივად ვერ იქნება გამართული და თუ მსგავსი რამ მოხდა, ის დაუპირისპირდება არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, არამედ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამდენად, რუსეთის ხსენებულმა პოლიტიკამ სამართლებრივად ყველაზე დიდი კრახი განიცადა“.**

ამრიგად, მართალია, რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მიღებული პოლიტიკური აქტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების თაობაზე ამ დრომდეც უკანონოდ მიიჩნეოდა, თუმცა დღეიდან ეს გადაწყვეტილებები პირდაპირ უპირისპირდება საერთაშორისო სამართალს.

**„შესაძლოა, ვინმემ დასვას კითხვა, „რუსეთი ოკუპანტი რომ იყო, აქამდე არ ვიცოდითო?“ დიახ, ვიცოდით, მაგრამ ეს აქამდე სამართლებრივად დადგენილი არ იყო. ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსური პროცესია“, —** დასძენს მესხორაძე.

### გადაწყვეტილება მსხვერპლთა სასარგებლოდ

**„სასამართლომ** არაერთი მძიმე დარღვევა დაადგინა. ეს **კი იმას გულისხმობს, რომ დარღვევები უნდა გამოსწორდეს და ამ კუთხით პასუხისმგებელი რუსეთია. რაც თავის მხრივ გულისხმობს როგორც კომპენსაციის გადახდას, ისე გამოძიების ჩატარებას, პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და მათ დასჯას მასობრივი მკვლელობებისთვის, წამებისთვის, დევნისთვის. ხოლო სადაც ადგილი აქვს განგრძობად პროცესს, უნდა შეწყდეს — ეს ვალდებულებაა. რაც შეეხება კომპენსაციას, სასამართლომ განმარტა, რომ ამ მიმართულებით გადაწყვეტილებას ახლო მომავალში მიიღებს“.**

### „არ დავივიწყოთ და არ დავავიწყოთ!“

განსხვავებით გადაწყვეტილების პირველი ღირებულებისგან, დარღვევების გამოსწორება და შეწყვეტა რუსეთზე და მისი მხრიდან თანამშრომლობის ხარისხზეა დამოკიდებული, რისი მოლოდინიც არაა და სწორედ აქ იწყება საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად.

**„დოკუმენტი ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ, რადგან შედეგები თავისით არ მიიღწევა. მთავარი მუშაობა სწორედ ამ მიმართულებითაა ჩატარებული, რათა რეალურად გამოვიყენოთ დოკუმენტი ეროვნული ინტერესებისთვის. ეს სამართლებრივ–პოლიტიკური დოკუმენტია და მნიშვნელოვანი ბერკეტია, შეძლო საკუთარი ინტერესების ლობირება ყველა მიმართულებით“.**

### დაეხმარება თუ არა გადაწყვეტილება საქართველოს ჰააგაში

ცნობილია, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურა აგვისტოს ომის დანაშაულებს იძიებს.

როგორც მესხორაძე განმარტავს, სასამართლოები საერთაშორისო დოკუმენტებით ხელმძღვანელობენ, სტრასბურგის გადაწყვეტილება კი ყველაზე ავტორიტეტულ წყაროდ ითვლება.

**„რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება ჰააგაში საქმის მასალებში ჩაიდება: მნიშვნელოვან როლს ითამაშებს და საქმის ერთ–ერთი ნაწილი იქნება“.**



**ასეთ კითხვას სვამს ყველა, სახელმწიფო მოღვაწიდან დაწყებული, რიგითი ადამიანით დამთავრებული. სვამს ხმამაღლა, უფრო მეტად ჩუმად — საკუთარ თავში. პასუხი დასმულ კითხვაზე უმრავლეს შემთხვევაში არის უარყოფითი. სხვაგვარი არც შეიძლება ყოფილიყო, იმ უამრავი ნეგატიური მოვლენიდან გამომდინარე, რასაც 2020 წელს ჰქონდა ადგილი. ნეგატივი კი უცნობმა ვირუსმა მოიტანა, თან ისეთი სიძლიერით, ბევრმა რომ ვერ გაუძლო და, სამწუხაროდ, მოულოდნელად შეწყვიტა ცხოვრება.**

**2020 წლის იანვრიდან დაწყებულმა პანდემიურმა აგრესიულმა შეტევამ სვლა მხოლოდ ზაფხულის მოკლე პერიოდში შეანელა, რის შემდეგ ძალა მოიკრიბა და ისეთი ტემპით შეუტია სამყაროს, უარესს რომ ვერ იწინასწარმეტყველებდა... მეორე შემოტევა უფრო მომაკვდინებელი გამოდგა გასულ იანვარ-ივნისთან შედარებით. მეორე, დღესაც გრძელდება და როგორც ვირუსოლოგები ვარაუდობენ, მესამეში გადაიზრდება.**

**ბუნებრივად თუ ხელოვნურად გაჩენილმა, უხილავმა აგრესორმა, რომ იტყვიან, მუხლებზე დააჩოქა ატომურიდან დაწყებული, ჩვეულებრივი იარაღით დახუნძლული ქვეყნები, რომლებიც უხილავი ვირუსის გამოჩენამდე შიშის ზარს სცემდნენ სამყაროს. კაცობრიობამ თვალნათლივ დაინახა ყველა სახის, მათ შორის ბირთვულის, წყალბადის, ნეიტრონის იარაღის უმწეობა ბიოლოგიურ იარაღთან შედარებით.**




ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, თუმცა მათი პოლიტიკური სისტემა სხვაგვარადაა მოწყობილი და წარმატებითაც მოქმედებს ამ ქვეყნებში.

ერთპარტიულობა იყო ტაივანზეც, რომელმაც ეკონომიკური წინსვლით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. დაახლოებით იგივე იყო სინგაპურშიც, რომელიც სამაგალითოა მსოფლიოში. მაგრამ ეკონომიკური პრობლემების და სოციალური ვითარების გამოსწორების, ქვეყნის ფეხზე მტკიცედ დაყენების შემდეგ იქაც გაჩნდნენ პარტიები, მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანოები. ასე რომ, პროდასავლური ორიენტაცია — ერთპარტიულობის ნაცვლად, მრავალპარტიულობას მოითხოვს, რაც შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებს საქართველოს პოლიტიკურ ელიტას.

2020 წელი აღსანიშნავი იყო პოლიტიკური არასტაბილურობით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებში — აშშ-სა და ევროკავშირში. 2020 წელი ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების წელი იყო, რამაც მას მოუტანა უკიდურესი დაპირისპირება დემოკრატებსა და რესპუბლიკელთა შორის.

გაჩაღებული ბრძოლა არჩევნების შემდეგაც გრძელდება და როგორც ჩანს 2021 წელსაც არ განელდება. საპრეზიდენტო არჩევნებმა მსოფლიოს დაანახა ამერიკული საარჩევნო სისტემის გაუმართაობა, კორუმპირებულობა, სიყალბე და ყველა ის ნეგატივი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

არჩევნებში გამარჯვებული დემოკრატი ბაიდენი ვერასდროს ივლის პოლიტიკურად წელგამართული, ვიდრე დამარცხებული ტრამპი თავს ასეთად არ ჩათვლის. ტრამპი კი აცხადებს, რომ მან გაიმარჯვა არჩევნებში და არა ბაიდენმა. ის გააგრძელებს ბრძოლას „თეთრი სახლისთვის“ მომავალი 4 წლის განმავლობაში.

2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობა, თვით არჩევნები და არჩევნების შემდგომი პერიოდი — ამერიკის ისტორიაში იშვიათი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამ საქმეში თავის ნეგატიურ წვლილს შეიტანს თვით ამერიკაში დაწყებული შიდა დაპირისპირება — რასობრივ ნიადაგზე, სოციალურ უთანასწორობაზე, სეპარატიზმზე დაფუძნებული.

შეძლებს ამერიკა მსოფლიო ჰეგემონის სახელის შენარჩუნებას? ძნელი სავარაუდოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზურგს უკან ჩინეთის სუნთქვა ესმის, წინ კი რუსეთის პრიორიტეტულობას ხედავს თანამედროვე, სუპერშეიარაღების სახით.

2021 წელს დაპირისპირება აშშ-ს, რუსეთს და ჩინეთს შორის მეტ სიმწვავეს შეიძენს, რის საფუძველსაც იძლევა აგრესიულად დამუხტული ახალი ადმინისტრაცია.

კავკასიისთვის 2020 წელი არცთუ მშვიდობიანი გამოდგა — ყარაბაღის ომმა, რუსეთის შემწეობით მეომარ აზერბაიჯან-სომხეთის დაზავებამ, თურქეთის გააქტიურებამ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მისი სამხედრო ბაზის სავარაუდო გაჩენამ დიდი თავის ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში.

# რით იყო აღსანიშნავი 2020 წელი?

ბიოლოგიური იარაღი შემთხვევით არ მიხსენებია, რამეთუ ექსპერტთა და სამხედრო მედიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხაზგასმით აცხადებს ასეთის შესაქმნელად კვლევითი სამუშაოების გაძლიერებულ წარმოებაზე. ზოგი „კოვიდ-19“-ს არა ბუნებრივად, არამედ ხელოვნურად შექმნილად მიიჩნევს. მათი აზრით, თუ მეოცე საუკუნის მთავარი საფრთხობელა ბირთვული იარაღი იყო, 21-ე საუკუნეში ბიოლოგიური იარაღი იქნება.

მე-20 საუკუნის მთავარ საფრთხობელას — განსაკუთრებით ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ხალხზე გამოცდის შემდეგ საფრთხობელობასთან ერთად კაცობრიობისთვის უაღრესად სასარგებლო თვისებებიც აღმოაჩნდა. მეცნიერებმა შეძლეს მისი მოთვინიერება, ადამიანის სამსახურში ჩაყენების თვალსაზრისით — მედიცინაში, ენერგეტიკაში, სხვა დარგებში.

ბირთვულმა იარაღმა იხსნა მსოფლიო სუპერსახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირებისგან. ბირთვული იარაღი „მშვიდობის მტრედად“ იქცა. ადამიანმა შეძლო ბირთვულ ენერგიასთან ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება და მისი კეთილი საქმეებისთვის გამოყენება. შეძლებს თუ არა ადამიანი მსგავსის გაკეთებას ბიოლოგიურ იარაღთან მიმართებაში — დღევანდელი, მეტადრე ხვალინდელი დღის გადასაწყვეტია.

მანამდე კი მიმდინარეობს საიდუმლოებით მოცული კვლევები, თუმცა შიგადაშიგ მცირედი ნაწილი საიდუმლოებისა საჯარო განსჯისა და კრიტიკის საგანი ხდება. ხშირია ბიოლოგიური იარაღის მავნებლობას მიძღვნილი კონფერენციებიც.

სულ ახლახან, საერთაშორისო ონლაინ-კონფერენციამ, სახელწოდებით **„ბიოლოგიური ლაბორატორიები — მსოფლიო საზოგადოების საფრთხე“,** მოისმინა ამ დარგის მეცნიერების მოხსენებები და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდება პრობლემების მასშტაბურობის აღქმა, საერთო სურათის წარმოჩენა. კონფერენციაში მონაწილეობდა ცნობილი სომეხი ვირუსოლოგი, პროფესორი, ბიოლოგიური უსაფრთხოების საერთაშორისო ექსპერტი გრიგორ გრიგორიანცი.

**„კორონავირუსული ინფექცია არის შედეგი და არავინ იძლევა გარანტიას, რომ მისი გადალახვის შემდეგ, სხვა, ახალი არ გაჩნდება. კორონავირუსი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმათში, ვინც ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობს. „კოვიდ-19“-თან დაკავშირებით შეიქმნა ლეგენდა, რომ ვირუსი ბუნებაში წარმოიშვა. არავინ მიაქცია ყურადღება, რომ ქალბატონი ში ჟენგლი (Shi Zhengli) და ჩინელი ვირუსოლოგები მუშაობდნენ USAID-ს მიერ დაფინანსებულ პროექტზე. ყველა ეძებდა დამნაშავეს, ნაცვლად ამისა, საჭირო იყო უბრალოდ გაყოლოდნენ კვლევის მიმართულებას, კვლევითი სამუშაოების ლოგიკას. ეს კვლევები ხომ კაცობრიობისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს?“ —** თქვა გრიგორიანცმა.

აშშ-ს ბიოლაბორატორიები უხვადაა რუსეთის ირგვლივ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში — უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

**„ქვეყანა, რომელიც სხვას აძლევს თავისი ბიოუსაფრთხოების სისტემის კონტროლის შესაძლებლობას, კოლონიად იქცევა. კოლონიზაციისთვის არ არის საჭირო ჯარის გამოყენება. ის, რაც შეუძლია გააკეთოს დაავადებას, ინფექციას, ბიოლოგიურ იარაღს, გაცილებით შედეგიანია სამხედრო ძალასთან შედარებით“,** — ამბობს გრიგორიანცი.

ასეა თუ ისე, ჩვენდა სამწუხაროდ, კორონავირუსი მძვინვარებს და მიუხედავად მისი შემაკავებელი ვაქცინისა, კარგა ხანს არ შეგვეშვება, შესაბამისი შედეგებით — ეკონომიკური შეფერხებით, სოციალური ვითარების გაუარესებით, ადამიანთა ერთმანეთისგან დაშორებით და სხვა ისეთი არასახარბიელო მომენტებით, რაც კარდინალურად ცვლის ადამიანის ცხოვრებას.

ადამიანთა ყოფა ველარ დაუბრუნდება წარსულ ჩარჩოებს. ის სხვა იქნება — თავშეკავებული, ეჭვით და შიშით მოსილი. თუმცა, ადამიანი, ვიდრე დედამიწაზე დააბიჯებს, შეეგუება უსასტიკეს გამოწვევას, ისე, როგორც არაერთხელ, განვლილი ათასწლეულების განმავლობაში.

* * *

**2020 წელი პოლიტიკური თვალსაზრისითაც არ იყო დამშვიდებული. მიზეზი ბოქრობისა საპარლამენტო არჩევნები იყო. 2020 წლის პოლიტიკური გზამკვლევი 2019 წლის 20 ივნისი იყო — გავრილოვის სახელით შესული საქართველოს უახლეს ისტორიაში. „გავრილოვმა“ გამოაფხიზლა ოპოზიცია, უფრო სწორად ნაცურმა ოპოზიციამ, რუსეთის სათათბიროს წევრის გავრილოვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა ოსტატურად გამოიყენა ანტისახელმწიფოებრივი ბუნტის მოსაწყობად და საბოლოო ჯამში ოპოზიციის გასაერთიანებლად.**

ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ხელისუფლება-ოპოზიციის სიტყვიერი პაექრობა — ნეიტრალურ მინდორზე, აშშ-ს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, აშშ-ს ელჩის არბიტრაჟით.

შედეგი?

31 ოქტომბრის არჩევნები; „ქართული ოცნების“ გამარჯვება; ოპოზიციის მიერ საკმაო მანდატების მოპოვება, მაგრამ არასაკმარისის, კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად.

რა მოგვცა 31 ოქტომბრის არჩევნებმა? ერთპარტიული პარლამენტი, ფორმალურად მრავალპარტიული. დღეს ხშირად სვამენ კითხვას — შევა თუ არა ოპოზიცია პარლამენტში? ეს კითხვა 2021 წლის პოლიტიკურ ცხოვრებას ლაიტმოტივად გაჰყვება. ოპოზიციის გარეშე გვეყოლება არასრული, ერთპარტიული პარლამენტი, რომელიც ვერ მიიღებს ორგანულ კანონებს...

საპარლამენტო ცხოვრებაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაფერი დაშავდება პარლამენტში ოპოზიციის არყოფნით — ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს და არაფერი დაშავებულაო.

მეგობრებო! თანამედროვე საქართველო არის ევროკავშირის ასოცირებული წევრი, ევროსაბჭოს წევრი, პროდასავლური ორიენტაციის ქვეყანა; ჩვენ ირგვლივ, ყოფილ საბჭოთა სივრცეში აღარ არის ერთპარტიული პოლიტიკური ცხოვრება, ერთპარტიული პარლამენტი. ერთპარტიულობით გამოირჩევიან

# სირცხვილი, რომელიც

(მეხუთე გვერდიდან)

აღნიშნულის შემდგომ თავმჯდომარემ კვლავ დაიწყო კადრების შემცირებებზე საუბარი, რაც, მსოფლიო პანდემიის პირობებში, ათობით ადამიანის ოჯახს ფინანსური სახსრების გარეშე დარჩენით ემუქრებოდა, თან, რაც მთავარია, ვერანაირი ახსნა, არგუმენტი ამ ახირებისა თავმჯდომარემ ვერ წარმოადგინა, უბრალოდ ასე მოუნდა და მორჩა. აღნიშნულ გეგმას ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, რასაც მოჰყვა 2020 წლის 24 დეკემბერს მინისტრის გათავისუფლება **(ბრძ: №171)**. მინისტრისა, რომელსაც აქვს ორი სამეცნიერო ხარისხი ისტორიისა და სამართლის მიმართულებით, გამოირჩევა დიდი სამუშო გამოცდილებითა და კონტაქტებით აფხაზურ მხარესთან.

შეიქმნა რა ხელსაყრელი პირობები, რუსლან აბაშიძემ, 2020 წლის **30 დეკემბერს** აისრულა თავისი დიდი ხნის ოცნება და დაჩქარებული წესით გამოსცა მორიგი განკარგულება **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში (მინისტრის აპარატში) რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ“ (ბრძ. №44)**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავმჯდომარის ძალისხმევით სსიპ „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის“ კოლექტივს, რომლის წევრებიც ისედაც მწირ გასამრჯელოს იღებენ, ისევ და ისევ ბატონი აბაშიძის გადაწყვეტილებით, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში არ მიეცათ კუთვნილი სახელფასო ანაზღაურება, რაზეც, ბუნებრივია, მიზეზის განმარტება მოითხოვა ანსანბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბატონმა ლევან ღვინჯილიამ, რასაც მოჰყვა **2020 წლის 31 დეკემბერს** ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლება, **(განკარგულება №45),** აბაშიძისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ბატონ ლევან ღვინჯილიას დამსახურებებს ქვეყნის წინაშე, მის მეცნიერულ მოღვაწეობას, რომ ის არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მის უდიდეს როლს ქართული კულტურის განვითარების საქმეში და, ბოლოს, ჩვენ ეროვნულ ვალუტას „ლარი“ რომ ჰქვია, ეს სწორედ ბატონი ლევან ღვინჯილიას ინიციატივა იყო... ბატონ ლევანს მინიჭებული აქვს „ხელოვნების ქურუმის“ წოდება. წარმოგიდგენიათ, **31 დეკემბერს** გათავისუფლების განკარგულების გამოცემა? სად გაქრა ადამიანურობა, ღირსება, კაცობა?... განსჯა თქვენთვის მომინდვია. სწორედ ეს არის ჩვემთვის **„სირცხვილი, რომელიც სირცხვილზე მეტია“**.

მოკლედ რომ ვთქვათ, ასე მიულოცა ახალი წელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს. აღნიშნულით დასტურდება ჩვენ მიერ წარმოდგენილი წერილის დასაწყისში გამოთქმული აზრი, რომ თავმჯდომარეს არანაირი კავშირი არ ჰქონია აფხაზეთთან, მას ვერ წარმოუდგენია დევნილთა დიდი ნაწილის ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმე. ეს ის ხალხია, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, ახერხებენ პროფესიულ ზრდას და წარმატებით ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ის არ იცნობს აფხაზეთიდან დევნილ ინტელიგენციას და, ინტელიგენციაც არ ცნობს მას. სწორედ ეს არის ჩემთვის **„სირცხვილი, რომელიც სირცხვილზე მეტია“**.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არის მცირე ნაწილი იმ თვითნებობისა, ადამიანებისთვის და საერთო საქმისათვის, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, შეგნებულად თუ უცოდინრობით მიყენებული ზიანისა, რომელსაც აბაშიძე ახორციელებს აფხაზეთის მთავრობაში. ადამიანი იმდენადაა დაკომპლექსებული, რომ განსხვავებული აზრი აფრთხობს, ხოლო ამ აზრის „გამბედავს“ დაუყოვნებლივ ათავისუფლებს სამსახურიდან, მიუხედავად პიროვნების დიდი დამსახურებისა და პროფესიონალიზმისა, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილებს კი იკავებენ ადამიანები, რომლებსაც შეხებაც კი არ ჰქონიათ აფხაზეთთან, განათლებისა და კულტურის სფეროსთან, თუმცა ახლო ურთიერთობები აქვთ აბაშიძის ოჯახთან. რა უნდა ვთქვათ? ადამიანს გასდის თავისი საქციელი და ეგაა. არც მის ფინანსურ დარღვევებზე (რომლებმაც აუდიტის ფინანსურ ანგარიშში ჰპოვა ასახვა) იყო რეაგირება და არც იმ უსამართლო და ულირს, არაჰუმანურ დამოკიდებულებებზე თანამშრომელთა მიმართ, რომელსაც ჰქონდა ადგილი. საინტერე-

თურქეთი რახანია ცდილობს და საკმაოდ წარმატებითაც საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკურ-სამხედრო გავლენის მოპოვება-განმტკიცებას კავკასიაში – ძველი ოსმალური ისტორიის მიხედვით, რაც თავისთავად გაღიზიანების საბაბია რუსეთისთვის. საქართველოში (აჭარა) მოპოვებული გავლენის შემდეგ, აზერბაიჯანის ძმად და მეგობრად (ორი ქვეყანა, ერთი ხალხი) გამოცხადება, იქ სამხედრო საყრდენის მოპოვება; კასპიის ზღვის გადაღმა, ცენტრალური აზიის ქვეყნებში (თურქულენოვანში) პოზიციების გამაგრება რუსეთს ძილს უფრთხობს და რაც არ უნდა თავშეკავებულად ილაპარაკოს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანზე, რუსეთის გაღიზიანება გაღრმავდება...

**აზერბაიჯანი – დსთ-ს წევრი ქვეყანა, ისე დაუახლოვდა თურქეთს, რომ მას „ძმას“ უწოდებს და სამამულო ომში (ასე ახასიათებს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი სომხეთთან ომში მოპოვებულ გამარჯვებას) გამარჯვების აღსანიშნავ სამხედრო პარადზე, გარდა ერდოღანისა, არავის იწვევს. პარადში, თურქეთის სპეცდანიშნულების სამხედრო ნაწილებიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც დსთ-ს სივრცეში უცხო ქვეყნის შესვლად აღიქმება.**

**საერთაშორისო საზოგადოებისთვის უხერხულად იყო აღქმული ორი პრეზიდენტის რეაქციული განცხადებები გაკეთებული პარადზე, რამაც მკაცრი რეაქცია გამოიწვია თეირანში – თურქეთის ელჩის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარებით.**

**რუსეთის რეაქცია სხვაგვარი იყო – „ფსბ“-ს („ФСБ“) დირექტორის ბორტნიკოვის საიდუმლო ვიზიტი ერევანსა და ბაქოში, განსაკუთრებით ბაქოში. ამ ვიზიტის შინაარსის თაობაზე საზოგადოებამ არაფერი იცის, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბორტნიკოვმა განუმარტა ალიევს პუტინის მოსაზრება, თუ რამდენად არის სახიფათო რუსეთისთვის თურქეთის სამხედრო ბაზის გახსნა აზერბაიჯანში. გაიგო თუ არა ალიევმა ბორტნიკოვის ნათქვამი, მომავალი დაგვანახებს, ანუ 2021 წელი.**

**2020 წელს დაწყებული „კოვიდ-19“ პანდემია და მისი ზემოქმედებით გაჩენილი ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები სხვა საკითხებთან ერთად 2021 წელსაც გაგრძელდება, რაც ნებისმიერი ჩვენგანისგან შინაგანი ძალის და ნებისყოფის გამომუშავება-განმტკიცებას მოითხოვს...**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# მინი არლინგტონი მახათას მთაზე

**საზოგადოების ერთი ნაწილის აქტიურმა მცდელობამ, ათეულობით პუბლიკაციამ, მიმართვებმა დიდუბის პანთეონის კიდევ ერთხელ გაფართოების თაობაზე დააჩქარა მახათას მთაზე ახალი პანთეონის, დიდი ხნის წინანდელი იდეის რეალიზაცია. დიდუბის პანთეონის გაფართოების რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა. მთავარი მოტივი იყო პანთეონის ისტორიულობა და დასაფლავებულთა განსაკუთრებული წვლილი ერისა და ქვეყნის წინაშე. დიდუბის პანთეონის გაფართოების ყველა ვარიანტი მხოლოდ დროებით წყვეტდა პრობლემას.**

მერიამ უმოკლეს ვადებში შეძლო მახათას მთაზე პანთეონის დაპროექტება, ტერიტორიის დაკვალვა, ბილიკების მოშანდაკება. პანთეონის პირველი რიგი 440 საფლავს ითვალისწინებს. საკმაოდ დიდი, „პერსპექტიული ტერიტორიაა“ დამაგრებული პანთეონზე.

დღეს პანთეონში განისვენებს 28 ადამიანი.

ამ „შესავლის“ შემდეგ მსურს საზოგადოებას გავაცნო ის აბსურდი და სააზროვნო ინფატილიზმი, რომელიც ასამარებს პანთეონის მაღალ მისიას, მის განსაკუთრებულობას და აქცევს მას რიგით სასაფლაოდ.

საკითხი ეხება საფლავების ტიპურობას და დასაფლავების არა ჰუმანურ, არა ქრისტიანულ წესს, რაც მეუღლეების შესაძლო დაშორებაში გამოიხატა.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონების ფუნქციონირებაზე ბოლო წლებში ორი დოკუმენტი გამოიცა, 2007 წლის 24 იანვრის წესდება (302.33.54) და 2018 წლის 31 იანვრის 304.15.118 განკარგულება. არც ერთში მინიშნებაც არ არის საფლავების ტიპიზაციაზე და მეუღლეთა შესაძლო განცალკევებაზე.

ტიპური საფლავები ჯარისკაცთა „ძმათა სასაფლაოების“ პრინციპია, სადაც მნიშვნელობა არა აქვს წოდებრივ იერარქიას, არის ის ჯარების სარდალი, გენერალი თუ რიგითი ჯარისკაცი. მათ ყველას ათანაბრებს ჯარისკაცობა. ასეთია არლინგტონის ეროვნული სასაფლაო (ასევე მრავალი სხვა „ძმათა სასაფლაო“ მსოფლიოში), ვაშინგტონის გარეუბანში, რომელიც დღეისათვის 400 000 საფლავს ითვლის (იხილეთ ფოტო). საფლავების ერთადერთი განმასხვავებელი დეტალია რელიგიური კონფესიის ნიშანი.

წესდებაში მკაფიოდაა ჩაწერილი: **„სასაფლაოზე იკრძალებიან ჯარისკაცები და მათი ოჯახის წევრები“**.

ამ წესის საფუძველზე, არლინგტონზე განისვენებენ ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი და მისი მეუღლე, ქალბატონი ჟაკლინ კენედი-ონასისი,



არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაო, ნაწილი

პრეზიდენტის სამი ძმა, ასევე ჯარისკაცთა „ოჯახის წევრები“.

არლინგტონის სასაფლაოზე ჩემი ყურადღების გამახვილება იმან გამოიწვია, რომ მახათას პანთეონი თითქოს არლინგტონის პროტოტიპია, რაც სრული აბსურდია.

პანთეონი ბერძნული სიტყვაა და „ღმერთების ტაძარს“, „გამოჩენილ ადამიანთა სავანეს“ ნიშნავს. პანთეონის იდეა უხსოვარი დროიდან მოდის. გმირების ხსოვნას მსოფლიოს ხალხები სხვადასხვანაირად აღნიშნავდნენ - რიტუალებით, ტაძრებით. ფაქტობრივად, ეგვიპტის პირამიდები ფარაონთა პანთეონებია, მართალია ინდივიდების და არა „ყველა ღმერთის“. ვისაც რომის პანთეონი (II საუკუნე, 117-126 წლები) უნახავს, მისი თავზარდამცემი სიდიადე უნიკალური ბიუსტებით და ქანდაკებებით, მიღებული ელდა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება.

მრავალი თავიდან ჩვეულებრივი სასაფლაო იქ დასაფლავებულთა სიდიდემ პანთეონის სტატუსამდე აამაღლა. რაღა შორს წავიდეთ, ასე იქცა საქართველოს სამი – მთაწმინდა, დიდუბე და ხოჯევანქი (სომეხ მოღვაწეთა სავანე) სასაფლაოდან პანთეონებად. ერთადერთი გამონაკლისი მახათაა, რომელიც თავიდანვე „პანთეონად“ იქნა სახელდებული. მაგრამ, „პანთეონად“ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე დაკრძალვა სულაც არ არის საკმარისი, რომ ის იყოს ერის „გამოჩენილ მოღვაწეთა სავანე“ – „ღმერთების ტაძარი“. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ რაღაც დაუწერელი კანონით, უფრო სწორად, ვიღაც გაუნათლებლის, შეზღუდული პასუხისმგებლობის ტვინის ხუშტურით, საფლავები უნდა იყოს ტიპური, რაც ძირშივე კლავს „პანთეონის“, როგორც კულტურის ფენომენის არსს. დააკვირდით ფოტოებს, მახათა ჯერჯერობით არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაოს ჩვილია, რომელიც 20-30 წლის შემდეგ არლინგტონის ფრაგმენტი იქნება, რა თქმა უნდა, თუ გონს არ მოვეგებით და ეს აბსურდი გაგრძელდება.

მეორე, ასევე, „პანთეონისთვის“ შეუსაბამო არაჰუმანური, არაქრისტიანული მოთხოვნაა (არც ამაზე არსებობს რამე ოფიციალური დადგენილება) მეუღლეების ერთად დაკრძალვის აკრძალვა, თუ რომელიმე მათგანი არ აკმაყოფილებს „მოღვაწის“ სტატუსს. როგორ ეგუება ამას ჩვენი ეკლესია?

ზემოთ „კულტურის ფენომენი“ ვახსენე.

დიახ, პანთეონები მთელ მსოფლიოში კულტურისა და ხელოვნების უნიკალური კერებია, მე მათ არ ჩამოვთვლი, ვერც ჩამოვთვლი, ვინაიდან ყველა ქვეყანას, ქალაქსაც აქვთ წმინდა სავანეები. განა მთაწმინდაზე ადამიანები არ ადიან ნინო ჭავჭავაძის და ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის, დიდი ილიას „მწუხარე საქართველოს“, ვაჟა ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის საფლავების, აკაკი ხორავას, გალაკტიონის, სიმონ ჯანაშიას, იაკობ ნიკოლაძის, კოტე მარჯანიშვილის და სხვათა უნიკალური ბიუსტების სანახავად? არა ერთი საფლავი – შედევრია დიდუბის პანთეონში. ისინი ქართველი არქიტექტორების და მოქანდაკეების საინტერესო ნამუშევრებია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ეს ბიუსტები და საფლავები არ არსებობენ, ხომ გაღარიბდება ერის სულიერი სამყარო, რამდენი უცხოელი კოლეგისგან, არქიტექტორისგან მსმენია მოსკოვში ყოფნისას, ისინი სპეციალურად ეწვივნენ ნოვოდევიჩის და ვაგანკოვის სასაფლაოებს ნიკიტა ხრუშჩოვის, ვლადიმერ ვისოცკის და სხვათა საფლავების სანახავად.

ვეკითხები ინკოგნიტო სახელმწიფო მოხელეებს, რომელმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ, რეფერენდუმმა, მოგანიჭათ უფლება, პანთეონი აქციოთ რიგით სასაფლაოდ?

მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა საფლავი მთაწმინდაზე, დიდუბის და ხოჯევანქის პანთეონებში ხელოვნების დიდი ნაწარმოებია. არის და არც ისე ცოტაა, უგემოვნო, კონტექსტიდან ამოვარდნილი საფლავებიც, რას ვიზამთ, ასეა მთელ მსოფლიოში, ამ საკითხში ოჯახის ნება არსებითია, რაც დიდად განსაზღვრავს მათ იმდაგვარობას.

საფლავთა ტიპურობაში, ალბათ, გარკვეული როლი ითამაშა ფინანსურმა საკითხმა, რაც სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, ვინაიდან განსხვავებული საფლავები განსხვავებულ ფინანსებს ითხოვენ, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, ტიპურობის ნაცვლად, უფრო გონივრული გადაწყვეტილების მიღება – დაეწესებია მერიას დახმარების ერთიანი საზომი (თანხა), რომლის ზემოთ ხარჯებს ოჯახი გაიღებდა, არც ის იქნება ოჯახის ნების შეზღუდვა, თუ კი საფლავის პროექტები არქიტექტორთა და მხატვართა კომისიამ განიხილოს.

სანამ საფლავები კიდევ მომრავლდება, აუცილებელია ახლების ინდივიდუალური პროექტებით შესრულება, იმავდროულად, უკვე არსებული საფლავების ჭირისუფლებთან მოლაპარაკება, მათი სურვილების გათვალისწინება.



**ვახტანგ დავითაია**


მახათას პანთეონი, ნაწილი

# სირცხვილზე მეტია

სოა: ვინ მფარველობს მას და რატომ?

აბაშიძე ზის თავისთვის კაბინეტში, დევნილებთან მას მაინც არ მიესვლება, სხვა რა ქნას? ჯავრს მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე იყრის, სამაგიეროდ იმადლიერებს თავისი ოჯახის ახლობლებს... სწორედ ესაა ჩემთვის **„სირცხვილი, რომელიც სირცხვილზე მეტია“**.

* * *

ცნობისთვის: აბაშიძე დღემდე ითვლება ჩემ დოქტორანტად, **(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ჯგუფი: 907985)**. ჩემი გათავისუფლების შემდეგ, მიუხედავად უსამართლობის განცდისა, რომელიც მე მქონდა, მაინც ტელეფონით დავუკავშირდი მას და შევახსენე, რომ დოქტორანტურის პირველი კურსის მეორე სემესტრის სასწავლო გეგმის შესაბამისად, წარმოედგინა ნამუშევრები, რათა აენაზღაურებინა ის პროგრამული ჩავარდნა, რაც მას ჰქონდა... გაგიკვირდებათ და, მისი პასუხი იყო ასეთი: „ფეხებზე მკიდია მე თქვენი დოქტორანტურა;“ აი, ამ სიტყვების ავტორია აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე. გულწრფელად გეტყვით, ამ ადამიანთან ყოველი საუბრის შემდეგ ერთი კითხვა მაწუხებდა ხოლმე: განა რა დავაშავეთ აფხაზეთიდან დევნილებმა, რომ ასეთი არაპროგნოზირებადი და გაბოროტებული თავმჯდომარე გვყავს? დიახ! ეს არის ჩემთვის **„სირცხვილი, რომელიც სირცხვილზე მეტია“**.

ის არ არის ღირსი, რომ წარმოადგენდეს დევნილ საზოგადოებას, რადგან ის ჩვენს ინტერესებს სათანადოდ ვერ წარმოაჩენს; ის ვერ შედგა და ამიერიდან მით უმეტეს, ვერ იქნება ჩვენი ლიდერი, ასეთია აფხაზეთიდან დევნილთა დიდი უმრავლესობის აზრი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2021 წლის 18-19 იანვარი, №11-12) მწერალმა, აკაკი წერეთლისა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატმა, ქალბატონმა ირმა კეკელიძემ გამოაქვეყნა ღია წერილი სახელწოდებით: **„რუსლან პირველი ანუ იგივე რიჩარდ მესამე საქართველოს რეალობაში“**, რომელშიც მოგვითხრობს აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და მისი პირველი პირის საქმიანობის მანკიერ მხრეებსა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელების ბრძოლაზე რუსლან აბაშიძის პოლიტიკის წინააღმდეგ. წერილში ასევე საუბარია აბაშიძის არასწორ საკადრო პოლიტიკაზე.

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობაზე არაერთი კრიტიკული წერილი გამოქვეყნებულა პრესასა თუ სოციალურ ქსელში, მაგრამ დღემდე, როგორც იტყვიან, ყოველივე რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. თუმცა დღეს, როგორც არასდროს, მჯერა, რომ ცენტრალური ხელისუფლება მოახდენს შესაბამის რეაგირებას აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შექმნილ ვითარებაზე.**

და ბოლოს, მინდა შეგახსენოთ, თავის დროზე, საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით შექმნილი სსიპ-ის – „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ ყოფილი ხელმძღვანელის, ქალბატონ ირინა ქეცბას წერილი (გაზ. „ალია“ 2020 წ. 21 სექტემბერი), რომელშიც ის მოგვითხრობს აბაშიძესთან აღნიშნული ცენტრის ლიკვიდციის საკითხის გამო საუბრის (კამათის) დეტალებს. წერილში გაჟღერებულია თავმჯდომარის მიერ ნათქვამი, ჩემთვის – შოკისმომგვრელი სიტყვები: „დაივიწყეთ აფხაზეთი!“ დიახ, ეს არის ჩემთვის **„სირცხვილი, რომელიც სირცხვილზე მეტია“**.

არა, ბატონო რუსლან, ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ აფხაზეთს, ალბათ მალე დადგება დღე და თქვენ დატოვებთ თანამდებობას, ხოლო, იმედი მაქვს, რომ თქვენ მაგივრად დაინიშნება აფხაზებისა და ქართველების დაახლოებასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ორიენტირებული პირი, რომელიც, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი ისტორიული მისიის შესრულებას შეეჭიდება, მისიის, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, აფხაზებისა და აფხაზეთის დასაბრუნებლად ბრძოლა ჰქვია. მანამ კი კვლავ იმედის თვალით გვიცქერენ ენგურს გაღმა საქართველოდან ჩვენი თანამემამულეები.

**ირაკლი გელენავა,**
**ისტორიის დოქტორი, პროფესორი**
**ტელ: 577 09 22 21**

◉ შეკრებაზე

# სერიოზული განაცხადი



**პარიზში გამართული მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირი ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიატმა სანდრო ბაზაძემ მოიგო, რომელიც იქ ცნობილ მწვრთნელ კრისტიან ბაუერთან უკვე ორი კვირაა ვარჯიშობს.**

საფრანგეთის, გერმანიისა და ამერიკის 40-მდე წარმომადგენელთან ბრძოლაში ქართველი მუშკეტერი 18-ჯერ(!) გამოვიდა სარბიელზე, მათ შორის პლეი-ოფში – მასპინძელთა წინააღმდეგ ოთხჯერ და ყველა მეტოქე დაამარცხა.

**ბადრი იაშვილი**

◉ ეროვნული თასი

# წლეულს – პირველად

**სუპერლიგის თერთმეტი და „ა“ ლიგის ხუთი კლუბი დღეს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ოლიმპიურ სასახლეში გამართულმა წილისყრამ მეტოქენი ასე დააწყვილა:**

მგზავრები – ტიტები,
ორბი – კაკტუსი,
ბურჯი – ცხუმ-აფხაზეთი,
ვერა – ოლიმპი,
ზესტაფონი – თსუ,
ბათუმი – დინამო,
მეგა – რუსთავი,
კავკასია – ქუთაისი.

აღსანიშნავია, რომ, წლეულს პირველად, პრესტიჟული ჯილდოს მფლობელს ოთხთა ფინალი გამოავლენს, არადა, ამ სისტემით უძლიერესი შარშანაც უნდა დასახელებულიყო, მაგრამ, როგორც ბევრი სხვა, კორონავირუსის პანდემიამ ამ სიახლის დანერგვაც შეაფერხა.

და კიდევ – მერვედფინალსა და მეოთხედფინალში გუნდები ორ მოგებამდე ითამაშებენ, ხოლო ნახევარფინალი და ფინალი ერთმატჩიანი იქნება.

**მანამდე კი სეზონის პირველი ტურნირი – ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი „ქუთაისმა“ მოიგო, რომელმაც ფინალში „ვერას“ სძლია – 88:67.**

**ვიტალი ჯაფარიძე**



◉ აპენინებზე






# დიახ, ახალი...

**იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, „სკუადეტოს“ 18-გზის, ქვეყნის თასის 7-გზისა და ჩემპიონთა თასის 3-გზის მფლობელი 1908 წლის 9 მარტს „ფუტბოლ კლუბ ინტერნაციონალე მილანოს“ სახელწოდებით შეიქმნა, 113-ე დაბადების დღეს კი ახალი ლოგოთი და სახელით – „ინტერ მილანოთი“ – შეხვდება.**

როგორც ირკვევა, თურმე აქტიურად განიხილება კიდევ რამდენიმე ცვლილების ვარიანტიც. მაგალითად, ადვილი შესაძლებელი ყოფილა, „შავ-ლურჯებმა“ახალი სატიტულო სპონსორი მოძებნონ და გადავიდნენ „სან-სიროს“ („ჯუზეპე მეაცას“) სტადიონიდან, რომელზეც თანაქალაქელ „მილანთან“ ერთად თამაშობენ.

გამოჟონა აგრეთვე ინფორმაციამაც, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო ლომბარდიელებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და მფლობელები ფეხბურთელებსა და სამწვრთნელო შტაბს უკვე რამდენიმე თვეა ხელფასებს ვერ უხდიან.

**გიორგი შოთაძე**

◉ მადლი

# მისაბაძი მაგალითი



**როგორც მოგეხსენებათ, შარშან 25 მაისს ფერადკანიანი ჯორჯ ფლოიდი მინეაპოლისში პოლიციელებთან კონფლიქტს ემსხვერპლა, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საპროტესტო აქციების ტალღის აგორება მოჰყვა.**

ამ დღეებში მისმა მეგობარმა, ნბა-ს ყოფილმა ვარსკვლავმა სტივენ ჯექსონმა გაასაჯაროვა ის მადლიანი საქმეები, რისი გაკეთებაც კეთილმა ადამიანებმა დაღუპულის ოჯახისა და ქალიშვილისათვის უკვე მოასწრეს.

კერძოდ, „ბრუკლინის“ მცველმა კაირი ირვინგმა სახლი უყიდა, მენეჯერმა ლილ უეინმა – „მერსედეს-ბენცი“, ხოლო ბარბარა სტრეიზანდმა „დისნეის“ აქციები გადასცა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ დევისის თასი

# უკვე – სამი

**როგორც ჩოგბურთის მოყვარულებმა იციან, შარშან კორონავირუსის პანდემიის გამო ყველაზე პრესტიჟული გუნდური ტურნირი – დევისის თასი არ გათამაშებულა, წლეულს კი იგი შვიდის ნაცვლად 11 დღის განმავლობაში – 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე 18 ნაკრების მონაწილეობით, პირველად ისტორიაში, ერთბაშად სამ ქალაქში გაიმართება.**



უკვე გარკვეულია, რომ სატიტულო შეხვედრების ერთ-ერთი მასპინძელი მადრიდი იქნება, დანარჩენებს კი მოგვიანებით დაასახელებენ.

**ბექან დოლიძე**

◉ სნუკერი

# აზიის სახელით



**იან ბინტაო მეორე ჩინელი გახდა დინ ჯუნჰუს შემდეგ, ვინც სნუკერის პროფესიული ტურის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი – „მასტერზი“ მოიგო და მსოფლიოს რეიტინგში მე-11 ადგილამდე აღზევდა.**

ამავე დროს, 20 წლის აზიელი აღნიშნული შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია ლეგენდარული რონი ო'სალივანის შემდეგ. ფინალში ამომავალმა ვარსკვლავმა 10:8 სძლია შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსს.

**„მან ფანტასტიკური, დაუჯერებელი და მეტად მრავალფეროვანი თამაშით დაიმსახურა ეს ტრიუმფი. ასეთ ასაკში „მასტერზის“ მოგება ბრწყინვალე მიღწევაა. იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ მეტოქეს საკადრისი უნდა მივაგო“** – გულწრფელი იყო შეხვედრის შემდეგ ვეტერანი ბრიტანელი.

**კობა კობახიძე**

## სანთელი



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული საჭიდაო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში გორელ ფალავანთა დიდი წარმატებების სულისჩამდგმელი და თაობათა აღმზრდელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენისა და ღირსების მედლის კავალერი**

### ნუგზარ სხირელი

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ველომრბოლი და მწვრთნელი, ველოსპორტის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ექიმი და სახელოვანი სახალხო მკურნალი, ღირსების ორდენის კავალერი**

### ბიჭიკო (ვლადიმერ) ასკურავა

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

## სანთელი

# ოთარ ნათიშვილი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**



**აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, დაიბადა 1929 წლის 11 მაისს.**

**1947-1952 წწ. ბატონმა ოთარმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიენიჭა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია. 1956-1959 წწ. მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასისტენტის და შემდეგ დოცენტის პოზიციაზე. 1960-1970 წწ. იყო საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და შემდგომ განყოფილების გამგე.**

**1956 წელს ოთარ ნათიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო სადოქტორო დისერტაცია — 1969 წელს.**

**1970-1990 წწ. ბატონი ოთარ ნათიშვილი არჩეული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის დეკანად, შემდეგ იყო პრორექტორი სასწავლო დარგში და ბოლოს იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი. 1980 წელს ბატონ ოთარს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.**

**1990-2021 წწ. ბატონი ოთარ ნათიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეუნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების გამგე. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნად და ვიცე-პრეზიდენტად.**

**ბატონი ოთარ ნათიშვილი 60 წელზე მეტი მოღვაწეობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში. მისი სამეცნიერო მუშაობის სფერო იყო ჰიდრავლიკა, საინჟინრო ჰიდროლოგია, აგროეკოსისტემების მდგრადობა, სამთო მელიორაცია. ბატონ ოთარს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 20 მონოგრაფია და 10-ზე მეტი სახელმძღვანელო.**

**ბატონი ოთარი არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის, ხალხთა მეგობრობის ორდენის, მედალი „შრომითი წარჩინებისთვის“ მფლობელი.**

**აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის მოღვაწეობა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, ილვაწო და მუდმივად იყო სამშობლოს სადარაჯოზე. მისი ხსოვნა სამარადჟამოდ იცოცხლებს მომავალ თაობებში.**

## ამერიკული მოზაიკა

# პრეზიდენტი - კაბინეტში, პირველი ლედი - საძინებელში

**აშშ-ის 45-ე პრეზიდენტ დონალდ ტრამპს და პირველ ლედ მელანიას თეთრ სახლში საერთო საძინებელი არ ჰქონდათ.**



გამოცემის ინფორმაციით, მელანიას დიდ საძინებელში ეძინა, რომელიც ტრადიციულად პრეზიდენტისთვის და მისი მეუღლისთვის არის განკუთვნილი, დონალდ ტრამპის ოთახი კი პრეზიდენტის კაბინეტში იყო განთავსებული.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 50 წლის მელანია 74 წლის ტრამპთან განქორწინებას აპირებს. ექსპერტების ვარაუდით, ამ შემთხვევაში მას შეუძლია მეუღლისგან 50 მილიონი დოლარი და მათი 14 წლის ვაჟ ბერონზე მეურვეობა მიიღოს. წყაროები ასევე იუწყებიან, რომ ყოფილი სლოვენიელი მოდელი წუთებს ითვლიდა ტრამპის პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე, რათა განქორწინების პროცესი დაეწყო.

# თეთრ სახლს გერმანული ნაგაზები დაიცავენ

**თეთრი სახლის მცველები „მაიორი“ და „ჩემპი“ უკვე დანიშნულების ადგილზე არიან.**



პირველი ძაღლები დელავერიდან ვაშინგტონში გუშინ ჩამოფრინდნენ. გერმანულ ნაგაზებს თეთრი სახლის ეზოში პირველი ლედი ჯილ ბაიდენი დახვდა.

გერმანული ნაგაზები, სახელად, „მაიორი“ და „ჩემპი“ მომდევნო ოთხი წლის მანძილზე ჯო და ჯილ ბაიდენებთან ერთად თეთრ სახლში იცხოვრებენ.

ფოტოები თეთრი სახლიდან ადმინისტრაციამ გაავრცელა. ცნობილია, რომ ამერიკის 46-ე პრეზიდენტს ძაღლები ძალიან უყვარს — განსაკუთრებით, გერმანული ნაგაზები.

ინაუგურაციამდე რამდენიმე კვირით ადრე ჯო ბაიდენმა, მაშინ როცა ის არჩეული პრეზიდენტი იყო, „ჩემპთან“ და „მაიორთან“ თამაშის დროს ფეხი დაიზიანა. ამის გამო ბაიდენი რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეკამერებთან არ გამოჩენილა.

# ორ საპატიმრო დაწესებულებაში კორონავირუსის 78 შემთხვევა გამოვლინდა

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის გოჩა ლორთქიფანიძის განცხადებით, გლდანის მე-8 და ქსნის მე-15 პენიტენციურ დაწესებულებებში კორონავირუსის 78 შემთხვევა გამოვლინდა.**

როგორც ლორთქიფანიძემ აღნიშნა, გლდანში ინფიცირებული 38 პატიმრიდან 8-ს სიმპტომები ჰქონდა, რის გამოც სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანეს.

**„გლდანში ჩატარდა 2 422 ტესტი, რომელთაგან დადებით აღმოჩნდა 38. აქედან 8 პატიმარს გამოუვლინდა სიმპტომები და ისინი გადაყვანილი არიან სამოქალაქო სექტორის კლინიკაში. დანარჩენი 30 არის უსიმპტომო, ისინი და მათი კონტაქტები არიან საკარანტინო სივრცეში იზოლირებული. ყოველდღიურად უტარდებათ კონტროლის ღონისძიებები, რაც არის გათვალისწინებული სამედიცინო პროტოკოლით“,** — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება ქსნის პენიტენციურ დაწესებულებას, მინისტრის თქმით, იქ ვირუსი 40 პატიმარს დაუდასტურდა.

იუსტიციის მინისტრის ცნობით, პენიტენციურ დაწესებულებებში ინტენსიური ტესტირების პროცესი თვის ბოლოს დასრულდება. მისი თქმით, ჯამში 10 დაწესებულებაში ჩატარებულია 6 654 ტესტი, საიდანაც 113 შემთხვევაში პასუხი დადებითი იყო.



# ვაქცინის ექსპორტი გამკაცრდება!

**ევროკავშირმა შესაძლოა, კორონავირუსის ვაქცინის ექსპორტი გაამკაცროს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ვაქცინის ერთ-ერთ მწარმოებელ „ასტრაზენეკას“ წარმოების პროცესში შექმნილი პრობლემების გამო, ვაქცინის დაგეგმილ ვადებში მიწოდებასთან დაკავშირებით შეფერხება აქვს.**

ევროკავშირის ჯანდაცვის კომისრის სტელა კირიაკიდესის განცხადებით, ევროკავშირი მიიღებს ყველა ზომას მისი მოქალაქეების დასაცავად.




მისი თქმით, ბრიუსელმა გამოითხოვა ვაქცინის მიწოდების ვადების დეტალური გეგმა. შეთანხმების მიხედვით, „ასტრაზენეკამ“ ევროკავშირს მარტისთვის 80 მილიონი დოზა ვაქცინა უნდა მიაწოდოს. თუმცა, როგორც „როიტერი“ სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, 60%-ით ნაკლებს, 31 მილიონამდე დოზის მიწოდებას შეძლებს.

## განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიგა გვაზავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიგა გვაზავა (პ/ნ 02001004200), თბილისი, შარტავას ქ. №39, სართული 9, ბინა №45

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, შარტავას ქ. №39, სართ. 9, ბინა №45 (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.078.01.01.045).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 75513.35 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 26 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 9 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69196521;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 691965

6. **მოვალე:** გიგა გვაზავა (პ/ნ 02001004200), თბილისი, შარტავას ქ. №39, სართული 9, ბინა №45.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69196521; ლოტის ნომერი: 691965).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 9 თებერვლის 10:00 საათამდე.

# ელისო ბოლქვაძე - იუნესკოს ორგზის მშვიდობის ელჩი!

**კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის და იუნესკოს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერისთვის იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრე აზულემ ცნობილ ქართველ პიანისტს, საერთაშორისო და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ელისო ბოლქვაძეს მშვიდობის ელჩის მანდატი მეორედ მიანიჭა.**

ეს სტატუსი ელისო ბოლქვაძეს პირველად 2015 წლის 22 იანვარს, პარიზში მიენიჭა და გახდა ამ პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი პირველი ხელოვანი საქართველოდან.

იუნესკოს საპატიო ტიტულს ფლობს მსოფლიოში გამოჩენილი 55-მდე ხელოვანი. მათ შორის არიან სელინ დიონი, ანჯელინა ჯოლი, მეჰრიბან ალიევა, მარკუს მილერი, შირლი ბეისი, ვლადიმერ სპივაკოვი, ხუაკინ კორტესი, ჟორდი სავალი, პლასიდო დომინგო და სხვა.



ელისო ბოლქვაძის შემოქმედება და საქველმოქმედო მოღვაწეობა აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით. მან არაერთხელ მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში და გაეროს საერთაშორისო ღონისძიებებში.

პიანისტმა საქართველოში ფონდი „ლირა“ დააარსა, რომლის მთავარი მიზანია ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა. მან ასევე 2013 წელს დააფუძნა „ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელიც მნიშვნელოვან კულტურულ პლატფორმად იქცა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისა და ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად.

ელისო ბოლქვაძეს 2016 წელს მიენიჭა საფრანგეთის ლეგიონის კავალერის ორდენი ხელოვნების სფეროში საფრანგეთის სახელწიფოს მიერ.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ელისო ბოლქვაძე საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრიცაა.

◎ დღესასწაული

# ნინოობას გილოცავთ!



**27 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს — ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**

საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: **„ნუ განმეშორები იერუსალიმს. ხვდომილი ქვეყანა შენი, განათლების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცბის იქ“.**

საგულისხმოა, რომ ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობელმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ქალწული ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ცნობილია ისიც, რომ ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება — ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: **„გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“.** შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: **„ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩვენისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.**

...ქალწულ ნინოს გაეღვიძა. მას სწორედ ის ჯვარი ეპყრა ხელთ, რომელიც ძილში მისცა მას ღვთისმშობელმა. ქართველთა განმანათლებელს სწორედ ამ ჯვარმა უწინამძღვრა!

**გიული ლიპარტია**



# დეას „დასაწყისი“ – „ოსკარის“ ნომინანტი?

**INDIEWIRE-მა 15 საუკეთესო საერთაშორისო მხატვრული ფილმი გამოავლინა, რომელიც „ოსკარის“ ნომინანტი შეიძლება გახდეს. სურათებს შორის მოხვდა ქართველი რეჟისორის დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“.**

„დასაწყისი“ დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია. ფილმი 2020 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში შეირჩა. კორონავირუსის პანდემიის გამო კინოფესტივალი არ ჩატარდა ტრადიციული ფორმით, თუმცა „დასაწყისი“ მოგვიანებით კანში მაინც აჩვენეს ფესტივალის სპეციალური გამოშვების ფარგლებში.

„დასაწყისის“ ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ფილმს გადაეცა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ჯილდო. ფილმის მსოფლიო პრემიერა კი გაიმართა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. სან-სებასტიანში ფილმი ოთხი ჯილდოს მფლობელი გახდა: ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს ნიჟარა“, საუკეთესო რეჟისორის ჯილდო (დეა კულუმბეგაშვილი), საუკეთესო მსახიობი ქალის ჯილდო (ია სუხიტაშვილი) და ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო სცენარისთვის (დეა კულუმბეგაშვილი, რატი ონელი). „დასაწყისი“ გადაღებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

„ოსკარის“ ნომინანტები 9 თებერვალს გამოვლინდება.

# სარეკორდო გაფრენა...

**SPACEX-მა დედამიწის ორბიტაზე ერთი რაკეტით ერთდროულად 143 თანამგზავრი გაიყვანა, რითაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

რაკეტამ Falcon 9 სტარტი ფლორიდიდან აიღო. თანამგზავრები 30 კლიენტს ეკუთვნის, რომელთა შორისაც მთავრობები, ორგანიზაციები, კომპანიები და უნივერსიტეტებია, 10 თანამგზავრი კი თავად SpaceX-ს ეკუთვნის. ისინი გლობალურ სისტემა Starlink-ს შეუერთდებიან, რომლის მიზანიც მსოფლიოს ყველა კუთხის ინტერნეტით უზრუნველყოფაა.



წინა რეკორდი (104 თანამგზავრი ერთ რაკეტაზე) ინდურმა კომპანიამ 2017 წელს დაამყარა.


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 28 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3043; ევრო - 4.0147;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5223;
100 რუბლი - 4.3931; თურქული ლირა - 0.4473;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9420;
1000 სომხური დრამი - 6.3697.

**ამინდი 27 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -5, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -9, | დღე | +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +5 | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | -2, | დღე | +12 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge